# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 24 მაისი 1996 № 40 (265) ფასი 40 თეთრი

# ქინქლაძეს იარაღიანები დასდევენ!

## ღმერთმა ჰქნას, მალე დაიჭირონ

ოთხშაბათს მანჩესტერელი ლეგიონერები ქინქლაძე და ყაველაშვილი თბილისში ჩამოვიდნენ. სწორედ აქ გაირკვევა გიოს ტრანსფერთან დაკავშირებული საკითხის გარკვეული ნაწილი. მოსალოდნელია, რომ თბილისში ჩამოვა აივარ პოლაკიც, ვინც თავის დროზე ქინქლაძისა და „მანჩესტერ სიტის" შუამავალი იყო. სწორედ ამათი და მერაბ ჟორდანიას შესამუშავებელია მოქმედების პროგრამა, ფრენსის ლის ქართველ ვარსკვლავზე ხელს რომ აალებინებს. ეს მეტისმეტად რთული იქნება, რადგან ინგლისიდან მიღებული ცნობებით, „მანჩესტერ სიტის" თავმჯდომარე კვლავ თავისაზე დგას და გიოს ყიდვის მორიგ მსურველებს, არც ელაპარაკება, ისე ისტუმრებს.

ასეთი ბედი ეწია ჩვენთვის კარგად ნაცნობ „სელტიკს", რომელიც მოულოდნელად გაერია პრემიერლიგის, ესპანეთისა და იტალიის იმ კლუბების მარაქაში, გიოს ყიდვა რომ სურთ. ამასთან, შოტლანდიელებმა „სიტის" 5 მილიონი გირვანქა შესთავაზეს და ისიც აგრძნობინეს, ცოტა მეტსაც გადავიხდითო, მაგრამ ლის პასუხი მისი გვარივით მოკლე ყოფილა — თავი გამანებეთო.

ქინქლაძე რომ ქართველ გულშემატკივრებს საშოტლანდიოდ არ ემეტებათ, ცხადია, მაგრამ მეორე ლიგაში მისი თამაში მართლაც საცოდაობა იქნება. ახლა ბევრია დამოკიდებული მერაბ ჟორდანიას მარიფათზე — ლის ხომ სწორედ მისთვის აქვს მიცემული კაცური სიტყვა — თუ გავვარდით, ქინქლაძის სხვა კლუბში გადასვლას წინ არ დავუდგებიო. იმედია, ჟორდანია წარმატებით გაართმევს თავს ამ უძნელეს ამოცანას, მითუმეტეს, რომ...

– გუშინ ჩვენმა ლონდონელმა კორესპონდენტმა დავით მჭედლიშვილმა გვაცნობა, რომ „სიტის" 6 მილიონი გირვანქა (ანუ 10 მილიონი დოლარი) შესთავაზა „არსენალმა", რომელიც ახლახან დამთავრებულ ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გავიდა და წლეულს უეფას თასზე ითამაშებს. ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობას ეს წინადადება მწვრთნელის, ბრუს რიოქის დაჟინებული თხოვნით გაუკეთებია. ამ ცნობას უმალ გამოხმაურებია ბრიტანული პრესა. როგორც „დეილი სტარი" წერს, „მართალია, ფრენსის ლი აქამდე ყველას უარით ისტუმრებდა, მეთოფეების („არსენალის" მეტსახელია) მიერ შემოთავაზებული თანხა იმის გარანტია მაინცაა, რომ მოლაპარაკებები გამართოს".

## არჩი-შოთა: ისევ ერთად თუ ცალ-ცალკე?



გუშინ სტამბოლში საგანგებო ავიარეისით ჩაფრინდნენ „დეპორტივო ლა კორუნიას" წარმომადგენლები, რათა შოთა არველაძეს შეხვედროდნენ და მისი „დეპორტივოში" გადასვლის საქმე გაერკვიათ. შოთას პასუხი ერთია: კონტრაქტზე თანახმა ვარ, ოღონდ მხოლოდ არჩიკოსთან ერთად. ამ პირობაზე ესპანეთის ჩემპიონმა მადრიდის „ატლეტიკომ" უარი განაცხადა, „დეპორტივო" კი ყაბულსაა. ეგაა, ამ პირობით: არჩილი „დეპორტივოში" ყველაფრით უზრუნველყოფილი იქნება, როგორც შოთას ძმა. ამაზე შოთა უარზეა: „არჩილი კლუბში უნდა იყოს, არა როგორც ჩემი ძმა, არამედ როგორც ფეხბურთელი. ის რომ ახლა ჯანმრთელად იყოს და ვერ აკმაყოფილებდეს კლუბის მოთხოვნებს, რა თქმა უნდა, ასეთ პირობას არ წამოვაყენებდი, მაგრამ არჩილი მკურნალობს. მას ჩემზე უკეთესი მონაცემები ჰქონდა ყოველთვის, ტრავმებს რომ ხელი არ შეეშალა. ასეთ პირობებში არჩილის ჩემგან მიტოვება არ იქნება, ჩვენ მუდამ ერთად ვართ და ასეც ვიქნებით". ამაზე „დეპორის" წარმოგზავნილთ სამი დღე მოუთხოვიათ, კლუბის ხელმძღვანელობას უნდა დაველაპარაკოთო. შოთა ახლა მეუღლესთან ერთად ანთალიაშია და მოლაპარაკების მომდევნო რაუნდიც იქ შედგება.

### საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში

ფინალი

### ვითა — დინამო 1:0

23 მაისი. სპორტის სასახლე

ვითა (თბილისი) — დინამო (თბილისი) 89:76

ვითა: თორთლაძე (7), დადიანი (6), სანაძე (23), ნაცვლიშვილი (7), შენგელია (16); კობეშავიძე (3), ტურაშვილი (2), დერიუგინი (6), კოკოლიშვილი (2), ჩხეიძე, ორმოცაძე (17)

დინამო: დარსაძე (17), ცხვედიანი (8), ბეჟანიშვილი (14), კილაძე, სხიერელი; მაისურაძე (2), ჟღენტი (2), ბერძენიშვილი (19), ოთიურიძე (14)

მსაჯები: სტრელცოვი (რუსეთი), ჩუდინი (რუსეთი)

უპირველესად ეს ვთქვათ, რომ კალათბურთის ფედერაციამ სუპერფინალურ მატჩებში მოსკოველი მსაჯები მოიწვია და ამან გაამართლა: რუსი მსაჯები დაუყოვნებლივ სჯიდნენ ტექნიკური საჯარიმოთი ყოველგვარ არკორექტულობას და კალათბურთელებიც ცდილობდნენ თავი მოეთოკათ.

„ვითამ", როგორც ყოველთვის, ძლიერად დაიწყო. თორთლაძისა და ნაცვლიშვილის მეცადინეობით მე-3 წუთისათვის 9:2 იყო, კიდევ წუთნახევარიც და 14:4. „დინამო" მშვიდად შეხვდა ასეთ დასაწყისს და ნელ-ნელა დაიწყო ანგარიშის შემცირება. ბერძენიშვილმა ზედიზედ სამჯერ ჩააგდო, დარსაძის სამქულიანი, ისევ ბერძენიშვილი და წინ უკვე „დინამოა" 18:17. ამის შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ცხვედიანის ორი გარღვევა და „დინამო" ხუთი ქულით გადის წინ, მაგრამ ათამაშდა სანაძე და მისმა სამქულიანებმა „დინამოს" დიდი სხვაობით დაწინაურების საშუალება არ მისცა. პირველი ტაიმის ბოლოს „ვითამ" იძალა და მატჩის ნახევარი 42:40 მოიგო.

მეორე ტაიმი პირველის დარად დაიწყო. „ვითას" სასტარტო სპურტი — 49:42 და „დინამო" კვლავ ნელ-ნელა დგება კალაპოტში. მას შემდეგ, რაც თორთლაძემ მეორედ მიიღო ტექნიკური შენიშვნა, დარსაძემ საჯარიმოებით წინ გაიყვანა „დინამო" 50:49. ისეთი პირი უჩანდა, რომ მატჩი ასევე დაძაბულად გაგრძელდებოდა და გამარჯვებულის ვინაობა ბოლოში გაირკვეოდა, მაგრამ აქ „დინამოს" კალათბურთელები ერთობ მოულოდნელად შეფერხდნენ. სანაძე რაღაც წუთნახევარში ორმოცაძის დახმარებით 10 ქულით აწინაურებს „ვითას" 60:50. ლევან მოსეშვილი წუთშესვენებას იღებს, ცდილობს დააწყნაროს კალათბურთელები, მაგრამ შემდგომ ოთხწუთეულში დინამოელთა ნატყორცნი ბურთები რაღაც საწაულით ვარდება კალათიდან, ფარქვეშ კი ვითელები ბატონობენ და მატჩის დასრულამდე 8.53 წამით ადრე სხვაობა 17 ქულაა — 54:71. „დინამომ" წელს უკვე მოუგო „ვითას" მაშინ, როდესაც თითქმის ასეთი სხვაობით აგებდა, მაგრამ, ალბათ, ერთიდაიგივე იშვიათად მეორდება. თანაც „დინამოს" არ ეტყობოდა, რომ მატჩს გადაარჩენდა. დინამოელებმა ცოტა კიდევ გაიბროლეს და წაგებას შეურიგდნენ. მატჩის ბოლოს კი მეტოქეები უკვე მეორე შეხვედრაზე ფიქრობდნენ. „ვითამ" მოიგო 89:76 და სუპერფინალში დაწინაურდა. მეორე შეხვედრა დღეს გაიმართება.

კოტე მგალობლიშვილი

III ადგილისთვის

### ქიმიკოსი — სდასუ 1:0

23 მაისი. სპორტის სასახლე

ქიმიკოსი (რუსთავი) — სდასუ (თბილისი) 58:44

ქიმიკოსი: გაბისონია (5), გურასპაული (20), მიქიაშვილი (8), კეჭაყმაძე (5), მ. ბერუაშვილი (20); აბზიანიძე, კიკვიძე, გ. ბერუაშვილი

სდასუ: ნიკოლაძე (5), ჩხეიძე, ჩუბინიძე (11), ქევხიშვილი, გაბრიჩიძე (11); ეგუტია (7), გიგაური (2), ძიძიგური (4), დიმიტრიადი (4), ი. ბერიშვილი

მსაჯები: გელოვანი (თბილისი), ჭეიშვილი (თბილისი)

# JUVENTUS!




გუშინწინ „იუვენტუსმა" მეორედ მოიპოვა ჩემპიონთა თასი

იხილეთ მეორე გვერდი

26 მაისს,

საქართველოს თასის VI გათამაშების

**ფინალში**

ერთმანეთს ხვდებიან:

დინამო — ბათუმი

# დინამო — ბათუმი

ფინალი მესამედ განმეორდა, ბოლო ორ წელიწადში ზედიზედ. პირველი, III გათამაშებისა, თასის ფინალების ისტორიაში ყველაზე უხვგოლიანი და საამოდ საცქერი გამოდგა, შარშანდელი ყველაზე უნიათო. „ბათუმი" ისეთივე გზით მივიდა წელს ფინალამდე, როგორითაც იმ პირველის დროს: მან ნახევარფინალში მაშინაც და ახლაც ერთნაირი ანგარიშით 1:0, 2:1 ზესტაფონის „მარგვეთი" დაამარცხა. „დინამომ" კი შარშანდელივით „სამტრედიაზე" გავლით მოიპოვა თასის დაცვის უფლება. წინა მატჩის მონაწილეთაგან „დინამო" 6 მოთამაშეს მოისაკლისებს, „ბათუმი" — 4-ს. მათგან, ვინც დღესაც გუნდებში ირიცხებიან, ზოიძესა და მაჭუტაძეს ვერ ვნახავთ. პირველმა საბერძნეთში მიიღო ტრავმა, მეორე კი ისევ მენისკს შეუწუხებია.



საბერძნეთშივე დაშავდა ბათუმელთა მეკარე ტოგონიძეც, რომელმაც ბოლო შეხვედრები გამოტოვა, მაგრამ მისი ტრავმა არც ისე სერიოზული იყო, რომ კვირისთვის მწყობრში არ ვიხილოთ.

ადვილი შესაძლებელია, რომ 26 მაისს „დინამოს" შემადგენლობაში ინალიშვილმა ითამაშოს. და თუ ეს მოხდა, იგი იქნება ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც 5 ფინალში მიიღო მონაწილეობა. თუ ინალიშვილს არ ათამაშებენ, მაშინ ჩიქოვანს მიეცემა მასთან გათანაბრების შანსი.

წინა გათამაშების უმთავრეს მატჩში არბიტრმა ოთარ გუნთაძემ, ისევე, როგორც I ფინალში მერაბ მალალურაძემ, გუნდებს სამ-სამი ყვითელი აჩვენა. ამჯერად გუნთაძე ასე ვეღარ იმკაცრებს, რადგან მხოლოდ სათადარიგო მსაჯილა იქნება. მინდორზე კი მას თამაზ ლაცაბიძე შეცვლის, რომელსაც სიმონ კახიანი და ზურაბ ღოლიძე დაეხმარებიან. ეს ისე, ისტორიიდან. ახალიც ბევრი რამ გველოდება: ერთი რომ, გუნდები ახალ, როგორც ამბობენ, იტალიაში დამზადებულ თასს გაითამაშებენ. მეორეც, ჯერ დამარცხებულებს დააჯილდოებენ მედლებით, შემდეგ კი გამარჯვებულთ თასს მედლებთან ერთად გადასცემენ. დაჯილდოება სამთავრობო ლოჟის წინ მოეწყობა და არა სარბენ ბილიკებზე. ამ დღეს კი ლოჟაში კლუბების პრეზიდენტებთან ჟორდანიასთან და ჩელებაძესთან ერთად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და ქვეყნის თავკაცნიც იხხდებიან. ნოდარ ახალკაცსა და დავით კვინიკაძეს, ისევე, როგორც შარშან, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც შეუერთდება. თამაში 19 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

**„სარბიელის" პროგნოზი: „დინამო" მოიგებს ერთბურთიანი სხვაობით.**

# საქართველოს ჩემპიონატი

## XXIX ტური

### დურუჯი 2:8 დინამო

დურუჯი: სომხიშვილი, ვარადაშვილი (ტუხაშვილი 80), ოსაძე, ცინცაძე, ბოჭორიშვილი, ყანჩაშვილი, ოსეფაშვილი (კობიაშვილი 75), ჩიხრაძე (დავითაშვილი 49), ქარენაშვილი, ყიზილაშვილი, წიწრიაშვილი

დინამო: ჭანტურია, კალაძე, კობიაშვილი (ცქიტიშვილი 41), დიდავა, მაჭავარიანი, კიკნაძე (კერძევაძე 46), ინალიშვილი, ყიზილაშვილი, დემეტრაძე (ხომერიკი 46), ანჩაბაძე, იაშვილი

0:1 დემეტრაძე (18პ), 0:2 დემეტრაძე (26), 0:3 იაშვილი (41), 1:3 ქარენაშვილი (67), 1:4 ანჩაბაძე (70), 1:5 იაშვილი (72), 2:5 ყიზილაშვილი (80), 2:6 ხომერიკი (83), 2:7 იაშვილი (85), 2:8 ხომერიკი (88)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

### ივერია 1:0 ბათუმი

ივერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ჩიბაშვილი, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ტყემალაძე, ჩადუნელი (ზირაქაძე 52), ლომიძე, კაციაშვილი, გლუნჩაძე

ბათუმი: მალაყმაძე, შანიძე, ფუტკარაძე, ი. მახარაძე (ვ. დარასელია 70), შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, ტულუში (სიჭინავა 46), უჯმაჯურიძე, მუჯირი

1:0 გლუნჩაძე (25)

მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

### გურია 1:6 სამტრედია

გურია: აბაშიძე, ლორია, ცერცვაძე, კუკულაძე (გოგიჩაიშვილი 60), ყოლბაია (წილოსანი 80), ებრალიძე, ნარიაშვილი, განევი (ნიკოლაიშვილი 85), ქიქავა, ბახტაძე, ჩიგოგიძე

სამტრედია: ჭანტურია, ჩომახიძე, ლურსმანაშვილი, ჯელაძე, ფანჩულიძე, რუხაძე, გოგიაშვილი, ხუჭუა, გვასალია, დარასელია, ჩხაიძე

0:1 ჯელაძე (15), 0:2 ჩომახიძე (17), 1:2 ებრალიძე (30), 1:3 გვასალია (48), 1:4 გვასალია (65), 1:5 ფანჩულიძე (75), 1:6 გვასალია (78)

გაფრთხილება: ცერცვაძე, ჩხაიძე, ხუჭუა, განევი

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### შევარდენი 0:1 ოდიში

შევარდენი: აბუსერიძე, ალადაშვილი, მელქაძე, ქველაძე, წიტაეშვილი, მოსულიშვილი, კანკავა, ჯიქია, ქანთარია, ქოიავა, მინდიაშვილი

ოდიში: მიქავა, ვახანია, ჯაბუა, თუთბერიძე, მიქაძე, გუგუჩია, კვარაცხელია, იოსავა, ჯურხაძე, აიანადი, ჩიტაია (ვაზგანავა 68)

0:1 ჯურხაძე (80)

მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)

მას შემდეგ, რაც I ჯგუფიდან გავარდნილთა ვინაობა გაირკვა, სათამაშო განწყობა პირველი ხუთეულის გუნდებსღა შერჩათ, დანარჩენები კი, ფაქტობრივად, მოვალეობასღა იხდიან. სწორედ ამ უკანასკნელთ მიეკუთვნებოდნენ იმდღევანდელი მეტოქეები. სიცხემ, უფრო კი, ზემოთ ხსენებულმა მიზნის არქონამ განაპირობა კიდეც მატჩის ხასიათი — ნამდვილად ვერ იტყოდით, რომ მოედანზე საინტერესო ბრძოლა იყო გაჩაღებული. დაბალი ტემპი, მოთამაშეთა უზუსტო მოქმედებები ისედაც მცირერიცხოვან მაყურებელს თამაშის ყურების ყოველგვარ ხალისს უკარგავდა. სტუმრებმა კი იმარჯვეს, მაგრამ მასპინძლებს მეტი სიზუსტე და მონდომება რომ გამოეჩინათ, ერთ ქულას მაინც გამოკრავდნენ ხელს. გოლი კი მოჰყვა მე-80 წუთზე აბუსერიძის კართან შექმნილ არეულობას, რომლითაც ჯურხაძემ ისარგებლა და თავისიანებს გამარჯვებინა.

### დილა 2:3 მეტალურგი

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, ჟ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ხ. გაგნიძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი (ხაჭაპურიძე 62), მარლიშვილი, ხორგუაშვილი, წკრიალაშვილი

მეტალურგი: დოლიძე, ფოფხაძე, სილაგაძე, არჩვაძე, თევზაძე, რეხვიაშვილი, ზირაქიშვილი, ჩალაძე, პერტია (პატარიძე 12), ტარტარაშვილი, ალადაშვილი

0:1 ჩალაძე (20), 1:1 ხორგუაშვილი (25), 1:2 ფოფხაძე (37), 2:2 ჟ. გაგნიძე (44პ), 2:3 თევზაძე (89პ)

რეხვიაშვილმა (56) და ალადაშვილმა (78) პენალტები ვერ გაიტანეს

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

ის რაც გორში ხონელმა არბიტრმა თემურ მაჭარაძემ მოიმოქმედა, ბევრს არც დაესიზმრება. მან ოთხი პენალტი დანიშნა, მათგან მხოლოდ ერთი — „მეტალურგის" კარში დანიშნული იყო ნაღდი, დანარჩენი სამი კი, ასე ვთქვათ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული. ალადაშვილისა და რეხვიაშვილის დარტყმული გორელთა მეკარე სოლოლაშვილმა აიღო, მესამეზე კი, პროტესტის ნიშნად, დადგომას არ აპირებდა, მაგრამ „დილას" მწვრთნელის შავდათუაშვილის მოთხოვნით დაიკავა თავისი ადგილი. თუმცაღა, არ განძრეულა და თევზაძემ, როგორც იქნა გაიტანა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩის შედეგი მასპინძელთათვის აღარაფერს წყვეტდა, მათ თავი არ დაზოგეს და ბოლომდე იბრძოლეს, გორელებმა ორჯერ გაათანაბრეს ანგარიში, თუმცა ბოლოს მაინც „მეტალურგმა" იმარჯვა. აღშფოთებულმა მასპინძლებმა სტუმრები სტვენით გააცილეს, მეკარე სოლოლაშვილი კი — ოვაციით.

**ბესიკ ჯანგაშაძე**

გორიდან

### მარგვეთი 5:3 ტორპედო

მარგვეთი: გვენცაძე, უვანია (ლანჩავა 46), გურიელიძე, გაბრიჭიძე, მაღლაკელიძე, მორგოშია, კაკუბავა (ჩხეტია 46), უკლება, წიკლაური (კიკნაძე 55), ქებაძე, ენდელაძე

ტორპედო: ხელაძე (მამარდაშვილი 46), შეყრილაძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, სადილიანი, გიორგობიანი, კვეტენაძე, ჩხეტიანი, ნოზაძე (ვოსკანოვი 46), აშვეთია, ჯინჭარაძე

1:0 ქებაძე (6), 1:1 ნოზაძე (12), 1:2 აშვეთია (13), 2:2 ენდელაძე (14 პ), 2:3 აშვეთია (19), 3:3 ქებაძე (I ტაიმის 49-ე), 4:3, 5:3 ენდელაძე (56 პ, 78)

გაფრთხილება: შეყრილაძე

გაძევება: შეყრილაძე

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

ამ თამაშსაც 4:3 დამთავრება ემუქრებოდა, ენდელაძისთვის სულს რომ არ ეძლია და ბოლო ბურთი თამაშგარედან არ გაეტანა.

ამ შეხვედრაში აღსანიშნავი თითქოს არაფერი უნდა მომხდარიყო, თუ აშვეთიასა და ენდელაძის გოლების გაცვლა-გამოცვლას არ ჩავთვლიდით. თუმცა, მაინც მოხდა: ერთი რომ, მე-12 წუთიდან მოყოლებული მე-14-მდე 3 ბურთი გავიდა და ამ წუთზე ქუთაისელმა შეყრილაძემ გაფრთხილება მიიღო. მომდევნო თამაშს იგი ისედაც გამოტოვებდა, მაგრამ არბიტრმა კობიაშვილმაც წააშველა ხელი. შესვენებაზე ქუთაისელთა გუნდისთავის შეყრილაძის კითხვას, რატომ გამაფრთხილეო, არბიტრმა წითელი ბარათითა და უშვერი სიტყვებით უპასუხა.

„ტორპედომ" მეორე ტაიმი 10 კაცით ჩაატარა. ისე, სანამ 11-ნი იყვნენ, იგებდნენ. იგებდნენ, ვიდრე მსაჯმა ტაიმი ისე არ გააგრძელა, რომ ფრედ დამთავრებულიყო.

**ვახტანგ ბზიკაძე**

ზესტაფონიდან

### კახეთი 0:2 კოლხეთი

### სიონი 3:0 ეგრისი

(ეგრისი არ გამოცხადდა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 29 | 24 | 4 | 1 | 101:16 | 76 |
| მეტალურგი | 29 | 22 | 0 | 7 | 70:35 | 66 |
| მარგვეთი | 29 | 21 | 2 | 6 | 84:37 | 65 |
| კოლხეთი | 29 | 21 | 2 | 6 | 66:38 | 65 |
| სამტრედია | 29 | 19 | 8 | 2 | 91:37 | 65 |
| ბათუმი | 29 | 15 | 6 | 8 | 63:27 | 51 |
| ტორპედო | 29 | 15 | 6 | 8 | 67:47 | 51 |
| დილა | 29 | 11 | 4 | 14 | 50:55 | 37 |
| სიონი | 29 | 11 | 0 | 18 | 38:56 | 33 |
| ივერია | 29 | 10 | 2 | 17 | 33:57 | 32 |
| ოდიში | 29 | 9 | 2 | 18 | 42:63 | 29 |
| შევარდენი | 29 | 9 | 2 | 18 | 38:59 | 29 |
| გურია | 29 | 9 | 0 | 20 | 35:71 | 27 |
| კახეთი | 29 | 8 | 3 | 18 | 29:63 | 27 |
| ეგრისი | 29 | 5 | 2 | 22 | 41:85 | 17 |
| დურუჯი | 29 | 1 | 1 | 27 | 23:124 | 4 |

## ბათიაშვილი ისრაელში მიდის

ამ წლის დამდეგს გერმანიაში გამართულ იუნიორთა (1980-81 წლებში დაბადებულნი) საერთაშორისო ტურნირზე თბილისის „მაისმა" (იგივე „ეარ ჯორჯია") გაიმარჯვა. ტურნირს, ცხადია, ბევრი უცხოელი სპეციალისტი ესწრებოდა. ერთ-ერთ მათგანს, ხაიფას „პაპოელის" წარმომადგენელს ჩვენი გუნდის მეკარე ზურაბ ბათიაშვილი მოსწონებია და მისთვის ისრაელში გასასინჯად ჩასვლა შეუთავაზებია.

— ხაიფას გუნდის კარს მოსკოვის „დინამოსა" და ესენგეს ნაკრების ყოფილი მეკარე უვაროვი იცავს — გვითხრა ზურამ — ვეტერანს გუნდიდან წასვლა განუზრახავს და მისი შეცვლა მე შემომთავაზეს. ახლა ოფიციალურ მიწვევას ველოდები.

## გუჯაბიძე შუქნიშანთან

თბილისში მყოფი აკაკი დევაძისგან შევიტყვეთ, რომ გოჩა გუჯაბიძით რუსეთის და სხვა ქვეყნების რამდენიმე გუნდი დაინტერესებულა. მას ეს ალექსანდრე შიკუნოვისგან — „როსტსელმაშის" გუნდის უფროსისაგან გაუგია. თუ რომელი გუნდები იწვევენ გუჯაბიძეს და რამდენად სერიოზულია ეს წინადადებები, ამ დღეებში გაირკვევა. თავად გოჩას თქმით კი, თუ არცერთი მათგანი არ დააინტერესებს, იგი შესაძლოა საქართველოშიც დაბრუნდეს. აქ მან უკვე მიიღო მიწვევა რამდენიმე გუნდისგან, რომელთა დასახელება მან არ ისურვა.

# დევაძე ბაიას შემცვლელი?

დრო რომ უმოწყალოა, ჩვენი ნაკრების მეკარის, აკაკი დევაძის მაგალითიც ადასტურებს. შარშან ყველანი მოწმე გავხდით აკაკის ტრიუმფისა — იგი საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, რუსული პრესაც ქების სიტყვებს არ იშურებდა ქართველი ლეგიონერის მისამართით. მაგრამ გავიდა ხანი და დევაძეს საქმეები აერია.

„როსტსელმაშში" დიდი ხნის შესვენების შემდეგ, როგორც იქნა, ბოლო ორი ტურის მატჩები ითამაშა. მიზეზი ყველასათვის ცნობილია — ფეხბურთელსა და გუნდის მწვრთნელ ანდრეევს შორის დიდი ხანია შავმა კატამ გაირბინა.

ბუნებრივია, დევაძის მდგომარეობა ნაკრების ხელმძღვანელებსაც აფიქრებთ. ჰქონდა თუ არა მათთან ამ საკითხზე საუბარი? სწორედ ამ კითხვით დავიწყე ინტერვიუ კაკოსთან, რომელიც „შევარდენის", სტადიონზე ვნახე.



— რა თქმა უნდა, მქონდა. მესმის ნაკრების ხელმძღვანელებისა — მათ ნამდვილად არ სჭირდება ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც კლუბში არ ათამაშებენ. მითუმეტეს, რომ მეკარეს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ესაჭიროება, სკამზე მჯდომს ნაკრებში სათამაშოდ არ დაუძახებენ. მე კი სკამზე ჯდომა არ მინდა და არც ვაპირებ. უბრალოდ, ანდრეევთან ურთიერთობა გამირთულდა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ფორმაში არა ვარ და ცუდად ვთამაშობ. მსგავსი არაფერი — ძალიანაც კარგ ფორმაში ვარ. მართალია, ანდრეევთან მწვავე კონფლიქტი არ მომსვლია, თუმცა უბრად კი ვართ, მაგრამ ჩემს საქმეს ნამდვილი პროფესიონალივით ვაკეთებ. თუ მათამაშებს, თავს არ ვიზოგავ. მაგრამ ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი. არა და, სხვა გამოსავალიც არ მაქვს — უნდა მოვითმინო. საქმის გართულება ისევ ჩემთვის იქნება საზიანო. მერე იქნებ სხვა გუნდში გადავიდე.

**— იმ სხვა გუნდად ადრე ცსკა ითქვა...**

— ტარხანოვს მართლაც სურს ჩემი წაყვანა, მაგრამ იმედი არა აქვს, რომ როსტოვიდან ცსკა-ში, ან რუსეთის რომელიმე სხვა გუნდში გამიშვებენ. თავიდანვე, როდესაც კონტრაქტს ვაფორმებდი „როსტსელმაშთან", გუნდის ხელმძღვანელებმა მითხრეს — რუსეთის გუნდებში არ გაგიშვებთ, გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ მოსკოვის „სპარტაკი" და „დინამო" იყოსო.

**— როდესაც შენით ცსკა დაინტერესდა, მახსოვს, მაშინ ანდრეევმა 800 000 დოლარი მოითხოვა...**

— ეს შარშან იყო. ახლა კი, თუ ჩემით რომელიმე გუნდი რეალურად დაინტერესდება, მე მგონი უფრო ნაკლებ თანხაზეც დაყაბულდებიან. იმიტომ, რომ თვითონაც კარგად იციან — მე როსტოვში დამრჩენი აღარ ვარ და აბა, ასეთი ფეხბურთელი გუნდში ვილას სჭირდება? გულს ვერ ვუდებ თამაშს. მოედანზე რომ გადიხარ, მოგებაზეც უნდა იფიქრო და იმაზეც, რომ მწვრთნელი, თუ პატივს სცემ, კარგი თამაშით გაახარო. მე კი საამისო სტიმული არა მაქვს, ანდრეევის გულისთვის ნაბიჯის გადადგმა აღარ მინდა, თუ ვვარჯიშობ, ისევ ჩემს თავზე ვზრუნავ. იტალიასთან და ინგლისთან შეხვედრებს მომზადებული უნდა შევხვდე. მინდა მადლობა გადავუხადო ნაკრების ხელმძღვანელებს, ჩემს მიმართ ნდობას რომ იჩენენ. რა თქმა უნდა, ზოგისთვის გასაკვირი იქნება — რატომ უნდა დამიძახონ ნაკრებში, თუ რუსეთის ჩემპიონატში სკამზე ვზივარ. უბრალოდ, ჩივაძეს და შენგელიას უთამაშიათ ანდრეევთან და იციან, როგორი პიროვნებაც არის. მაგრამ მაინც, მე რომ ნაკრების მწვრთნელი ვიყო, ახლა დევაძეს არ გამოვიძახებდი. არც ველოდი მათგან ასეთ ნდობას. ანდრეევს კი პირიქით, ჩემი არ სჯერა. გუნდის კრებაზე გამოაცხადა კიდეც — დევაძის ოსტატობაში ეჭვი მეპარება და ჩემს გემოვნებასაც არ აკმაყოფილებსო. მე კი ისიც არ ვიცოდი, რომ თურმე შარშანდელ სეზონში უკმაყოფილო ყოფილა ჩემით. კრებაზე ესეც თქვა: მიუხედავად იმისა, რომ შარშან როსტოვის საუკეთესო ფეხბურთელი გახდი, მე შენს თამაშში კარგი ვერაფერი დავინახეო. მწვრთნელი რომ ამას გეტყვის, იქ რომელ ნდობაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? გუნდში გაჩერებაც ამიტომ აღარ მინდა.

**— ქართული გუნდები თუ გიწვევენ?**

— არა. მათგან წინადადებები არ მქონია.

**— რომ მოგიწვიონ?**

— მე დიდ მადლობას ვეტყვი ყველას, ვინც დამაფასებს და მიმიწვევს, მაგრამ საქართველოში ზღაპრული პირობებიც რომ შემიქმნან, ვერ ჩამოვალ.

**— რუსეთის გარდა რომელიმე უცხო ქვეყნის გუნდი თუ გიწვევდა?**

— ვერ მოგატყუებ — არც ერთი წინადადება არ მიმიღია. არის ზოგადი საუბრები, ბევრი მთავაზობს სხვადასხვა გუნდში გადასვლას, მაგრამ კონკრეტული არცერთი მიწვევა არ არის.

**— თუნდაც ასე, ზოგადად ვინ გესაუბრა?**

— იურანისა და კულკოვის მენეჯერი. ამ კაცმა ეს მოთამაშეები თავის დროზე პორტუგალიაში ჩაიყვანა. ის ჩემთან, როსტოვშიც ჩამოვიდა და „პორტუში" გადასვლაზე ჩამომიგდო სიტყვა.

**— როგორც ვიცი, „ბარსელონა" ამ გუნდისა და პორტუგალიის ნაკრების მეკარის ვიტორ ბაიას გადაბირებას ფიქრობს. ეს წინადადება ამ გადასვლას ხომ არ უკავშირდება?**

— ვერ გეტყვი. ამ კაცმა „სპორტინგიც" მიხსენა და „ბოავიშტაც". ესენი კი პორტუგალიის ჩემპიონატში ლიდერები არიან. ჩემს შესახებ კულკოვისთვის უკითხიათ, როგორი მეკარეაო. კულკოვს პირადად არ ვიცნობ, ეგაა, შარშან მის წინააღმდეგ „სპარტაკ" — „როსტსელმაშის" მატჩში საკმაოდ კარგად ვითამაშე. ეტყობა, კულკოვს იქიდან ვახსოვდი და უთქვამს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეროვნული ნაკრების ძირითადი მეკარეა და ეს ბევრს ნიშნავსო. ამის შემდეგ ჩემით დაინტერესებულან და ჩემი თამაშების ვიდეოკასეტა მოუთხოვიათ. ახლა პორტუგალიის ჩემპიონატი დამთავრდა, მზადებას კი ივლისში დაიწყებენ და მეც, ალბათ, პორტუგალიაში წავალ. რა თქმა უნდა, მირჩევნია სეზონი და კონტრაქტი რუსეთში ჩავამთავრო. ეს ფინანსურადაც ხელსაყრელია, მაგრამ ვერ ვმუშაობ ანდრეევთან და რა ვქნა? ამ კაცს რომ ვუყურებ, ვარჯიშის ხალისი მეკარგება...

**მერაბ მამულაშვილი**

## ბუცურეიშვილმა «მეტალურგი» დატოვა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრის მამუკა ბუცურეიშვილის გვარი მეორე წრიდან რუსთავის „მეტალურგის" შემადგენლობაში აღარ ჩანდა, ამ ცოტა ხნის წინ კი მან გუნდიც დატოვა:

„მეორე წრის წინ მოსამზადებელ პერიოდში მამა გარდამეცვალა, ამ ამბავმა კარგა ხნით ჩამომაშორა გუნდს, ნორმალურად ვეღარ მოვემზადე, და თამაშებიც გამიცდა. შემდეგ კი დავიწყე ვარჯიში, მაგრამ მივხვდი, რომ გუნდს აღარ ვჭირდებოდი და „მეტალურგიდან" ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე წამოვედი. ერთი ხანობა, ცხელ გულზე, ფეხბურთიდან წასვლასაც კი ვფიქრობდი, მაგრამ ყველაფერი ავწონ-დავწონე და ახალი სეზონის დალოდება ვამჯობინე. მალე ეს ჩემპიონატიც დასრულდება და იმედი მაქვს, ნორმალურ გუნდს მოვძებნი.

გოგი ახვლედიანის სვეტი

## კიდევ რამდენი ჩემპიონატი, კიდევ რამდენი წელი...

აჰა, გაილია საქართველოს კიდევ ერთი ჩემპიონატი ფეხბურთში. მგონი მეშვიდე.

რამდენი ჩემპიონატიც არ გაილია, „დინამო" იმდენჯერ გახდა ჩემპიონი და ალბათ კარგახანს გასტანს ასე.

ეს ჩვენა, „დინამოს" ქომაგსა, კიდევაც გაგვეხარდება, მაგრამ მალე აღარც გაგვეხარდება, იმიტომ რომ მივეჩვევით და დილით რომ ჩაის სვამ, განა გიხარია?

ჩვეულებრივი ამბავია და იმიტომ.

ეს „ჩვეულებრივობა" თავიდანვე დაებედა საქართველოს პირველობას.

ინტრიგაც ყოფილა ხოლმე ამ ჩემპიონატში, მაგრამ ეს ინტრიგაც ჩვეულებრივი გამოდიოდა.

აბა რაღა ინტრიგა იყო, როცა შარშან „სამტრედია" რომ იბრძოდა, ხედავდი, რომ ვერ გაქაჩავდა, ვერ მოერეოდა და მაინც მეორე დარჩებოდა.

ჩვეულებრივი რამ იყო და არაჩვეულებრივი არ მოხდებოდა.

უველაზე არაჩვეულებრივი საქართველოს ჩემპიონატში ის მოხდება ხოლმე, რომ თუკი გუნდი თამაშზე ვერ ჩავა ან დააგვიანებს, მას აუცილებლად ავტობუსი გაუფუჭდება და თან აუცილებლად რიკოთის უღელტეხილზე.

არაჩვეულებრივი ის კი არ არის, რომ ავტობუსი ფუჭდება, არამედ ის, რომ უკლებლივ უველა გუნდის ავტობუსი ფუჭდება.

სხვა მოულოდნელობას საქართველოს ჩემპიონატისგან კაცი ვინმე, ბურთის მოყვარე, არ უნდა ელოდეს.

თუმცა, არა. ერთი გამომრჩა.

ეს არაჩვეულებრივი შემთხვევა „დინამოს" შეეხება, რადგან ჩემპიონს ერთი-ორჯერ ფეხი წაუცდება და წვიმაში, ავტობუსგაფუჭებული და დაღლილი ალბათ ერთ თამაშს წააგებს შორეული ლიხს-იქეთა ქალაქში.

წააგებს და ატყდება, აჰა გუნდი გამოჩნდაო.

მერე მიხვალ ამ გუნდის სანახავად სტადიონზე, ეგებ რაიმე მოახდინოს არაჩვეულებრივიო და ყველაფერი ჩვეულებრივად იქნება.

აი, მივედი ამასწინათ ჩვენს სტადიონზე. შესაშური სიხალვათე იყო. ლიდერები ხვდებოდნენ. წაგებულმა (სტუმარმა) ერთი გოლი შეაგდო. აი, მოგებულმა კი რამდენი, უნამუსო გახლდეთ, თუ მახსოვდეს.

შესვენებაზე აიკრიფა ჩვენს წინ მსხდომ კეთილშობილ ბიძათა გუნდი და წავიდა. ასე სთქვეს, სპორტის სასახლეში მივდივართ, იქ კალათბურთია „დინამოსა" და „ვითას" შორის და ეგებ ემანდ მაინც მოხდეს რამეო.

სპორტის მაყურებელს იმიტომ უყვარს სპორტი, რომ იქიდან ისეთ რამეს გამოელის, რაც, ჩვეულებრივ, არ ხდება ხოლმე.

ჩვენს ჩემპიონატში დიახაც შეგხვდებათ დაძაბული თამაში, მაგრამ როგორც ოსტაპ ბენდერს უყვარდა თქმა, „თამაშის კლასი დაბალია" და ცხრილის შუაში მოხვედრილ გუნდთა ჰიდილი, ოდენ ჰიდილია და არა ფეხბურთად ცნობილი სპორტი.

ვიცი, იტყვიან, ჩემპიონატის დონეს ფეხბურთელები სწევენო, ჩვენი ლეგიონერები უნდა დავაბრუნოთო და სხვა, მაგრამ რამდენ გუნდს ეყოფა ერთი ვარსკვლავი და ოთხი კარგი ფეხბურთელი?

ჭეი-ლიგის დარი ფული ჩვენს კლუბებს კი არა, მთელმა ერმა რომ ჯიბე ამოვიცარიელოთ, მაინც არ გვექნება. ბრაზილიელებს, ბოსნიელებს და სხვებს ვერ ვიყიდით, მაგრამ თამაშის ტემპი რომ ავწიოთ საგაისოდ, სირბილს რომ დავეჩვიოთ და ზღაზვნა დავივიწყოთ, ესეც დიდი მონაპოვარი იქნება. მაყურებელი თვალს მაინც გაამლებს, იტყვის, დარბიან, თავს იკლავენო.

თურქები ვნახე და გიჟებივით დარბოდნენ.

თან ეს უეფაც ახლოვდება, იქ ჩვეულებრივებს ჩვეულებრივ უგებენ ხოლმე, თორემ ფეხბურთის მოყვარულს რა? ორ კვირაში ევრო-96 იწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დედოფლის მობურთალი ქვეშევრდომები

დანიასა და საქართველოს შორის კავშირებს არანაკლებ რვა-ცხრასაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართული წყაროების გარდა დანიაშიც მოვიძიე უტყუარი ფაქტები და რუკებიც კი, რომლებიც ვიკინგების საქართველოში ყოფნას ადასტურებენ. დანიელები ამჟამადაც ცდილობენ საქართველოს დახმარებას და სპეციალისტებსაც გვიგზავნიან ჩვენი ეკონომიკისა თუ სოფლის მეურნეობის „ამოსაქაჩად".

მოკლედ, დანიელებმა ამ ბოლო დროს საკმაოდ გატკეპნეს საქართველოს შარაგზები, ქართველთაგან კი ამ ხუთი-ექვსი წლის წინ თითო-ოროლა თუ სახლობდა დანიაში, მათ შორის ქალბატონი მარინა არაყიშვილი, რომელიც კარგა ხანია კოპენჰაგენში ცხოვრობს, მოღვაწეობს და შეძლებისდაგვარად ცდილობს საქართველოს წარმოჩენას. დანიაში მესამე სტუმრობა ტანვარჯიშში ევროპის ჩემპიონატზე მომიხდა. საქართველოდან უკვე ოლიმპიადის ლიცენზიამოპოვებული 18 წლის ილია გიორგაძე გმოდიოდა. ილია მკვრივი აღნაგობის, ტანჩია, უტყვი ბიჭია. ჩემი ტანვარჯიშში გათვითცნობიერება, მეტი რომ არ ვთქვა, გულშემატკივრისას არ აღემატებოდა, მაგრამ თვალის ერთმა შევლებამაც იოლად დამარწმუნა ჩვენებურის დახვეწილობაში. „ბრონდბიუ ჰუსის" ბრწყინვალე დარბაზში ტრადიციულად რუსები, უკრაინელები, ბელორუსები ანაც აქედან ხორვატიაში და სხვა ამგვარ ქვეყნებში გაკრეფილი სპორტსმენები მძლავრობდნენ. შეჯიბრების პირველ დღეს ილია პირველ 24 კაცში უნდა მოხვედრილიყო, მედლებისთვის ბრძოლა რომ გაეგრძელებინა. ტრიბუნებიდან გიორგაძეს მე და საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის თავკაცი ომარ ლონლაძე ვქომაგობდით (ბატონ ომარს უნდა ემსაჯა კიდეც, მაგრამ მოსკოვში რუსებმა საბუთების საქმე გაუჯანჯლეს და ჩემპიონატზეც ოდნავ შეაგვიანდა). ილიამ პირველ დღეს XV ადგილი დაიკავა და მეორე დღეს მედლებისთვის გააგრძელა ბრძოლა, საბოლოოდ კი XII ადგილი დაიკავა (რგოლები 9,0; ხტომები — 9,075; ორძელი — 9,4; ღერძი — 9,025, თავისუფალი — 9,075; ტაიჭი — 9,250 ჯამში 55,225). პირველი ადგილი ბელარუსმა ივანკოვმა დაიკავა 57,898, მეორეზე მისი თანაგუნდელი ვიტალი შჩერბო გავიდა — 57,874, მესამეზე რუსი ალექსი ვოროპაევი — 57,536. მოკლედ, სლავებმა ამ ჩემპიონატზე აღლუმი მოიწყვეს.

ილია უთქმელი ბიჭია-მეთქი, გითხარით. ამიტომაც მის მწვრთნელს ნიკოლოზ ჭანტურიას გამოვესაუბრე: „ილიამ პირველ დღეს იმაზე მეტი მოინდომა, ვიდრე შეეძლო. ტანვარჯიშში კი მეტად სპეციფიკური სახეობაა, თვითეული ილეთი ათასჯერ გვაქვს დალეჭილი და გონება ინსტიქტურად მუშაობს ილეთის შესრულებისას. ილიამ კი, როგორც გითხარით, პირველ დღეს იმაზე მეტი მოინდომა, ვიდრე შეეძლო. მეორე დღეს, მისი მომზადების ამბავი რომ ვიცოდი, მეექვსე ადგილს ვუგეგმავდი, მაგრამ ხტომებზე ფეხი იტკინა და მაქსიმუმს ველარ გამოამჟღავნებდა. ახლა კვლავ მოსკოვში გავაგრძელებთ მზადებას. ძალიან გვეხმარება რუსეთის ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი ლეონიდ არკაევი, რომელიც რუსეთის ნაკრებთან ვარჯიშის ნებას გვრთავს. ახლა „რუსეთის თასზე" გველის გამოსვლა. თუ მოხერხდა, ატლანტაშიც რუსეთის ნაკრებთან ერთად გვინდა გავემგზავროთ, ისინი ჩვენს დელეგაციაზე რამდენიმე კვირით ადრე ჩადიან და ილიას ადაპტაციისთვის ეს უკეთესი იქნება. ილია ჯერ 18 წლისაა, შჩერბო და ვოროპაევი კი 26-27 წლისანი არიან. ისინი, ფაქტიურად, ამთავრებენ კარიერას და ატლანტა მათთვის ბოლო შეჯიბრი იქნება, ილია კი მომავლის სპორტსმენია და მისგან გარკვეულ წარმატებებს უნდა ველოდოთ.

**— რუსები ახლა ნიჭიერი არარუსი სპორტსმენების გადაბირებითა და გარუსებით არიან დაკავებულნი, არაერთი ამგვარი მწარე მაგალითი ჩვენც ვიცით. თქვენც ხომ არ შემოგთავაზეს იგივე?**

— არაერთხელ, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკიც კი უაზრობაა-მეთქი, ვუპასუხე.

## მოგოს რჩეული ქოქო

ნესტვედი პატარა, მყუდრო, ტიპიური ევროპული ქალაქია 60 ათასამდე მოსახლით. კოპენჰაგენის სამხრეთით სამოციოდე კილომეტრში მდებარეობს. აქაც, ისევე როგორც მთელს დანიაში, ხალხი უზრუნველად ცხოვრობს. ფეხბურთი ძალიან უყვართ და მთელ ბოლმას (თუკი ასეთი აქვთ) „ნესტვედშტადიონზე" ანთხევენ „ნესტვედ!" „ნესტვედ!"-ის ძახილით.

ქოქოშვილი კი ამ ქალაქში ასე მოხვდა:

მერაბ ჟორდანიასა და ესტონელ აივარ პოლაკის მეგობრობისა და ამ უკანასკნელის დიდ ავტორიტეტზე დანიის საფეხბურთო წრეებშიც არაერთხელ დავწერეთ. ქოქოშვილი, რომელიც თბილისის „დინამოში" მოსკოვის „ტორპედოდან" ჩამოვიდა, დავით ყიფიანის აზრით „დინამოს" ვერ მოერგო. ჟორდანიამაც უგუნდოდ დარჩენილ გოჩას პოლაკთან გაუწია რეკომენდაცია და ამანაც ნესტვედში ჩაიყვანა, სადაც მცველი უჭირდათ.

გოჩასთან ინტერვიუს ქვემოთ შემოგთავაზებთ, მანამდე კი გაგაცნობთ ამ პატარა კლუბის ისტორიას, რომლის პრეზიდენტმა ჯონ მოგომ მითხრა, გოჩას კონტრაქტი მაისში კი მთავრდება, მაგრამ ქოქოშვილის ცოცხალი თავით გამშვები არსად ვარო.

### ნესტვედ ო. ფ.

დაარსდა 1939 წლის 5 მარტს.

დანიის ჩემპიონატის ორგზის ვერცხლის (1980, 1988) და ოთხგზის ბრინჯაოს (1972, 1975, 1981, 1986) პრიზიორი.

თამაშებს ატარებს „ნესტვედშტადიონზე" (20 000 ადგილი)

კლუბი ნახევრადპროფესიულია, ფეხბურთელთა უმრავლესობა თამაშს სხვა სამუშაოსაც უთავსებს.

„ნესტვედის" მთავარი მწვრთნელი, 38 წლის სიმპათიური ქერა დანიელი პეტერ ბონდე ჯეელობისას „ნესტვედში", „ბ 1901-ში", „ჰერფიოლგეში" და „ლუნგბიუში" თამაშობდა. დანიის უმაღლეს დივიზიონში 400 მატჩი უთამაშია. 1991 წელს ფეხბურთელობას თავი დაანება და მწვრთნელობა დაიწყო, ჯერ მეორელიგელ „კალუნბორგში", მერე „ლუნგბიუში". შარშაწწინ „ნესტვედს" ჩაუდგა სათავეში და „სუპერლიგაში" გადმოიყვანა. წელს გუნდის ლიგაში დატოვება განიზრახა და მიზანი უკვე მიღწეულიც იქნებოდა, რომ არა 0:2 მარცხი საკუთარ მოედანზე უშუალო კონკურენტ „იკასტთან" 27-ე ტურში. ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ, წაგების მიუხედავად, გოჩა ქოქოშვილი აღიარეს. ჩემი და ბოდეს ინტერვიუც, რომელიც „ნესტვედ" — „ოდენსეს" შემდეგ შედგა, ბუნებრივია გოჩას მიეძღვნა.

— გოჩა დღეს ბრწყინვალე იყო, ძალზე დისციპლინირებულად ირჯებოდა მინდორზე, თავითაც უშეცდომოდ თამაშობდა, მეტოქისთვის ერთი შანსიც არ მიუცია. ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო მისთვის, რადგან წინა ორ მატჩში ისე ვერ ითამაშა, როგორც ადრინდელ ტურებში. მაგრამ დღეს მე მისით ძალიან კმაყოფილი ვარ. გოჩა ძალიან კარგი მცველია.

**— კონტრაქტით გოჩა „ნესტვედში" მაისამდეა. თქვენი სიტყვები მაფიქრებინებს, რომ კონტრაქტის გაგრძელებას აპირებთ...**

— ჯერ არ ვიცით, დავრჩებით თუ არა სუპერლიგაში. სამი ტურია დარჩენილი, ამას მერე ვნახავთ.

**— ქართველი ფეხბურთელების დამატებას ხომ არ აპირებთ ახალი სეზონიდან?**

— გოჩასნაირი ფეხბურთელები თუ იქნებიან, აუცილებლად.

**— რომელი ამპლუის ფეხბურთელები გსურთ საქართველოდან?**

— ძირითადად მცველები. ჩვენი ლიბერო ნიკოლაი ველი ამ სეზონის დამთავრებისთანავე სხვა გუნდში გადადის და კარგი უკანა მცველი მინდა.

**— ნუთუ თქვენი თავდასხმით კმაყოფილი ხართ დღევანდელ მატჩში?**

— თავდასხმის შეცვლას ჯერ არ ვაპირებთ.

**— წელს თქვენი მიზანი ლიგაში დარჩენაა. მომავალ სეზონში რას აპირებთ?**

— თუ დავრჩით, მომავალი სეზონისთვის ოთხ-ხუთ ახალ ფეხბურთელს დავიმატებთ და კარგ გუნდს დავაყენებთ. თუ გავვარდით, მაშინ სუპერლიგაში დაბრუნებაზე უნდა ვიფიქროთ...

...გასახდელიდან გამოსულს უცებ სამი პატარა დანიელი ფანი შემეჩეხა, გოჩა ქოქოშვილი შენა ხარო, — მკითხეს. გამეცინა და უკან შევტრიალდი, გოჩას ვუთხარი, მალე ჩაიცვი, პატარა ბავშვებს შენი ავტოგრაფი უნდათ-მეთქი.

...გოჩა სასტუმრო „ვინჰუსეზში" (ღვინის სახლი) ცხოვრობს, წითელი „პეჟოც" მისცეს, რომელთან ერთად სურათებიც გადაუღეს სარეკლამოდ. დანიურის უკეთ შესასწავლად ადგილობრივი კოლეჯის მასწავლებელი, რუსულად ჩინებულად მეტყველი ლილიან სიმონსენი დაუქირავეს. ბინაც მისცეს იქვე, ზღვის მახლობლად, მაგრამ ჯერჯერობით ტელეფონი არ დგას და გოჩაც სასტუმროში ყოფნას ამჯობინებს. ტანვარჯიშის ჩემპიონატის შემდეგ დარჩენილი ორი დღე ნესტვედში გავატარე და გოჩასთან ეს ინტერვიუც ნაწილ-ნაწილ ავიღე, რადგან ხან ვარჯიშზე ეჩქარებოდა, ხანაც უნდა დაესვენა და არ ვაწუხებდი.

გოჩას თქმით, ყველაზე კარგი ბიჭი გუნდში მეკარე კლაუს ფალენტინია. ამაში მეც დავრწმუნდი. კარგი ბიჭობა კარგ ბიჭობად, მაგრამ კლაუსი საკმაოდ სუსტი მეკარეა და, ჩემი მოსაზრებით, არათუ საქართველოს პირველ, მეორე ჯგუფშიც კი გაუჭირდებოდა ფეხის მოკიდება. გოჩა გრძნობს, რომ სუსტი მეკარე ყოველ წამს შეიძლება შეცდეს და, როცა მეკარე თამაშობს, წამიერად თავს ანებებს სამეურვეოს და მეკარის შორიახლო იკავებს პოზიციას. ფალენტინი გამოსვლებს უფრთხის და სანამ ყოყმანობს, გამოვიდე თუ არაო, კარს საფრთხე არაფრიდან ექმნება. პეტერ ბონდეს უთქვამს გოჩასთვის, საქართველოში ერთი კარგი მეკარე მომიძებნეო. სიტყვამ მოიტანა და, დიდი შთაბეჭდილება ვერც „ოდენსეს" მეკარემ, ნაკრების წევრყოფილმა ლარს ჰოგმა დატოვა, ისევე, როგორც კოპენჰაგენელმა ანტი ნიემიმ და ოლბორგელმა ლარს ვინდემ. მოკლედ, შმაიხელი და კროგი რომ არ ჩავთვალოთ, დანია მეკარეებზე ქესატადაა.

ახლა თავად გოჩა ქოქოშვილს მოვუსმინოთ...

— „ასმარალში" საკმაოდ კარგად ვიყავი, ვალენტინ ივანოვის დაჟინებით კი მოსკოვის „ტორპედოში" ალმოვჩნდი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მერე ივანოვმა არა და არ მაღირსა ძირითადი. მეც საქართველოში გამოვეშურე, დილომში ვემზადებოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, „დინამოს" განაცხადში ვერ მოვხვდი. მოკლედ, ცოტაც და ფეხბურთს თავს დავანებებდი. ბედად, მერაბ ჟორდანიამ „ნესტვედის" ვარიანტი გამოძებნა. კარგა ხნის უვარჯიშებელი ვიყავი, როცა 23 მარტს კოპენჰაგენში ჩამოვედი. იმ დღესვე „ნესტვედი" „კოპენჰაგენს" ამხანაგურს ეთამაშებოდა და, რომ იტყვიან, ტრაპზე ჩავიცვი ფორმა. რაც შემეძლო, თავი მოვიკალი. ეგ იყო, ტყუპმა ძმებმა იოჰანსენებმა შემიკლეს, არ ვიცოდი, რომელი მარტინი იყო, რომელი მიქაელი, მერე ნომრებს დავუწყე დაკვირვება. მოკლედ, მოვეწონე. მოხდა ისე, რომ ათიოდე დღის მერე ისევ „კოპენჰაგენს" შევხვდით, ამჯერად უკვე ოფიციალურ, 24-ე ტურის მატჩში. აქაც ცუდად არ მითამაშია, 1:1 დამთავრდა მატჩი. ეს იყო მეორე წრის ბოლო მატჩი და მესამე წრე „კოპენჰაგენთან" შინ გავხსენით. [illegible]ვიდა თამაში, 2:0 ვუგებთ, მატჩი მთავრდება. 82-ე წუთზე მეტოქის ნახევარმცველი მუხლს მირტყამს პირდაპირ ფილტვში და ლამის ფეხები გავჭიმე. შემცვალეს. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ დარჩენილ შვიდ წუთში კოპენჰაგელებმა ორი გოლი გაგვიტანეს. მოკლედ, მოგების ნაცვლად ფრე — 2:2. იმ მატჩში აქაური, 9-ბალიანი შეფასებით შვიდი დამიწერეს და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შემიყვანეს.



გოჩა ქოქოშვილი

**— როგორც შევიტყვე, „ბრონდბიუსთანაც" ძალზე ძლიერად გითამაშია. ისე, რომ პოლაკს დაურეკავს ჟორდანიასთვის, გოჩათი უკვე „ბრონდბიუ" დაინტერესდაო.**

— „ბრონდბიუსთან" მწვრთნელმა იმათი საუკეთესო თავდამსხმელის პეტერ მიოლერის პერსონალური მეურვეობა დამავალა. მეც ვცდილობდი, მიოლერს არაფერი დავუთმე, არც მინდორზე, არც კამათში. ასე გაწევ-გამოწევაში ალბათ მიხვდა, რომ დანიელისთვის უჩვეულო ხასიათის კაცთან ჰქონდა საქმე და შეურიგდა ბედს. რაც შეეხება კონტრაქტს, ვერაფერს გეტყვი, ჩემთან არავინ მოსულა. ჩემს აგენტად პოლაკი ითვლება და თუ დაინტერესდნენ, პოლაკთან დაიჭერენ საქმეს.

**— „იკასტთან", თქვენ ძირითადად კონკურენტთან რაღად წააგეთ? ეტყობა, იმ მატჩშიც ძლიერად ითამაშე, რაკილა კვლავ საუკეთესო მოთამაშე გახდი...**

— „იკასტთან" დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, მაგრამ ბედმა გვიმუხთლა. რომ იტყვიან, შევჭამეთ მეტოქე, მაგრამ როგორც ხდება, ორად-ორი კონტრშეტევა გოლებად გვიქციეს და საქმე გასავარდნად გაგვიხადეს.

**— მომდევნო მატჩში, შინ „ვაილესთან" 1:0 რომ მოიგეთ, კვლავ შენ აღმოჩნდა უველაზე მაღალი შედეგი — 7 ბალი.**

— ეს იმდენად პრინციპული მატჩი იყო, რომ უკანდასახევი აღარ გვქონდა, წავაგებდით და, ფაქტიურად, ვემშვიდობებოდით სუპერლიგას. შტრუდალის გოლმა მატჩის მიწურულს ნაღდი გამარჯვება მოგვიტანა.

**— სიტყვამ მოიტანა და, მახსოვს, ორიოსამი წლის წინ შტრუდალი მართლაც მრისხანე ფორვარდი იყო. რომ იტყვიან, ბრდღვნიდა ყველაფერს. ახლა კი იმ შტრუდალისა ლანდილაა. „ოდენსესთან" ორ-სამ მომენტში ოდნავ რომ მოენდომებინა, სახიფათო მომენტს გოლად აქცევდა, მაგრამ როგორღაც უჩოგროდ და უინტერესოდ ირჩეოდა. ნუთუ ასეთი ფორვარდის იმედზე ხართ?**

— შტრუდალმა შარშან თუ შარშანწინ თურმე ფეხი მოიტეხა, მუხლი ხელახლა აუწყვეს და ვიცი, ფსიქოლოგიური შიში აქვს. შენ რომ წელან ის ორი-სამი მომენტი ახსენე, მართლაც ფეხის ერთი გაწევა უნდოდა და ბურთს დაეუფლებოდა, მაგრამ ახლა აგრე თამამად ფეხს ველარ წევს, ტრავმირებულ მუხლს უფრთხილდება. ისე, მართალი ხარ, ასეთი ფორვარდი, მითუმეტეს დანიის ჩემპიონატში, გინდ გყოლია, გინდ არა.

**— თავს იკლავდაო, ამ მატჩში კიდევ 3-4 კაცზე ვერ იტყოდა. რაშია საქმე?**

— მივხვდი, ვიზეც ამბობ — ვაელიცნონბოც და კიდევ ორი სხვაც ამ სეზონის მერე სხვა კლუბებში გადადიან და თავს, უფრო სწორედ, ფეხებს უფრთხილდებიან. კონტრაქტზე ხელი უკვე მოაწერეს და რატომ ჩაიგდებენ თავს საფრთხეში?! ამიტომაც არ ირჯებიან მთელი ძალით და ამიტომაცაა, მწვრთნელი რომ ცვლის ხოლმე ხშირად.

**— „ვაილესთან" ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩის მერე „ოლბორგთან" და „ვიბორგთან" ველარ მიიღე მაღალი შეფასება. მწვრთნელმა მითხრა, გოჩა იმ მატჩებში თავს არ ჰგავდაო. რა მოხდა?**

— მე ხომ სეზონის წინ ხეირიანად არ მოვმზადებულვარ, ამიტომაც უკვე მელევა ძალა. ბოლო მატჩებში თავს ძალას ვატან. ეს ლოგიკურიცაა, როცა სეზონისთვის მოუმზადებელი ხარ. ახლა ეს სამი მატჩიღა დარჩა და მინდა ისინი კარგად ჩავატარო. მერე კი სეზონისთვის კარგად მოვემზადები და მთელს სეზონს ხეირიანად ჩავატარებ. ყოველ შემთხვევაში, ძალა მაინც არ გამომელევა შუა სეზონში.

**— შენთან ერთად „ნესტვედმა" ლიტველი თომას შვიგჟდაუსკასი იყიდა. იგი მოსკოვიდან, ჩემპიონთა ტურნირიდან მახსოვს, „ჟალგირისში" საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. აქ კი, არათუ ძირითადში, სათადარიგოშიც ვერ ხვდება.**

— ჯერ ცხრამეტი წლისაა, უცებ გაუჭირდა დანიურ ფეხბურთთან შეგუება, ამიტომაც ჯერ არ თამაშობს. ისიც პოლაკის რეკომენდაციით იყიდეს. ამ დღეებში ტელეფონით პოლაკს შესჩივლა, არ მათამაშებენო და ისიც ალბათ მალე ჩამოვა ამის საქმის გასარკვევად.

**— შვიგჟდაუსკასის საქმესთან ერთად პოლაკი ალბათ შენს შემდგომ ბედსაც მოჰფენს ნათელს. შენ როგორ გესახება იგი?**

— თუ „ნესტვედი" დარჩა სუპერლიგაში, მაშინ გავაგრძელებ კონტრაქტს, თუ არა, დაველოდები, მართლა აპირებს თუ არა რომელიმე კლუბი ჩემს მიწვევას. ისე, დანიას ძალიან შევეჩვიე, აქაური ცხოვრება მართლაც იოლი შესაგუებელია. ეგაა, ამათი ვარჯიშის პრინციპი ვერ გავიგე. საქართველოშიც და ყველგან, სადაც მითამაშია, თამაშის მომდევნო დღეს გვასვენებენ, აქ კი თამაშის მერე, დილით ვარჯიშია, ამის შემდგომ დღეს კი გვასვენებენ. ვერ გეტყვი, როგორ მოქმედებს ეს დანიელთა ორგანიზმზე, მაგრამ მე აშკარად ვერ შევეგუე. თამაშის მეორე დღეს კარგი საუნა ძალების აღდგენის და დაღლილობის მოხსნის ჩინებული საშუალებაა. აქ კი ამაზე ცოტა მწყრალად არიან. თუ ვერ შევასმინე, თვად ჩავალ კოპენჰაგენში თამაშის მერე საუნისთვის. ისე, სამი თამაში დარჩა, როგორმე გავათრევ...

... ამ ბოლო ექვს თვეში დანიაში ორჯერ მომიწია ჩასვლამ და ნაკრებისა თუ კლუბების ხუთი-ექვსი თამაშიც ვნახე. ამიტომაც ვძლევ თავს უფლებას, ჩემი თვალით დანახული დანიის ფეხბურთი ზოგადად შევაფასო.

შარშანწინ დანიის სუპერლიგაში ათი გუნდი თამაშობდა ოთხ წრედ, ოღონდ მეორე წრის მერე მედლებისთვის ბრძოლას რვა გუნდი აგრძელებდა. შარშან სუპერლიგა თორმეტ გუნდამდე გაზარდეს და ჩემპიონატი სამ წრედ მოაწყვეს. გუნდებს სულ 33 მატჩი გამოსდით. ჩემი აზრით, 12 გუნდი დანიისთვის ბევრია, რადგან ათგუნდიანი ჩემპიონატი უფრო მძაფრად მიმდინარეობს, რაკილა არანაკლებ რვა გუნდი მედლებისთვის და ევროთასების საგზურისთვის იბრძვიან. ამიტომ ყველა მატჩში დაძაბული ბრძოლაა, ყველა ქულას მნიშვნელობა აქვს და ის ავადსახსენებელი „ოქროს შუალედი" არ არსებობს, გუნდებს დამშვიდების საშუალებას რომ მისცემს: თუ ევროთასებზე ვერ გავდივარ, სამაგიეროდ, არც ვვარდებიო. საერთოდ კი, მეტად სწორხაზოვნად, ინგლისურის მსგავსი სტილით თამაშობენ (ეს ნაკრებს არ ეხება). პიონტეკი თავის „ოლბორგს" კვლავაც სამ მცველით ათამაშებს. დანიელ მცველთა ძირითადი მოვალეობა პერსონალური მეურვეობა და მეორე სართულზე ბრძოლის არწაგებაა. მწვრთნელის დავალებას ყველა პირნათლად ასრულებს. როგორ გამოსდით — სხვა საქმეა.

ჩემი დაკვირვებით, ჩვენებური ქართველი მოთამაშეები, თითო-თითო მაინც, დანიურ გუნდში აუცილებლობას წარმოადგენს. მე შემტევ, მოაზროვნე ნახევარმცველზე მოგახსენებთ. ასეთები კი მარტო „დინამოში" ახლაც რამდენიმეა (ანჩაბაძე, ცქიტიშვილი, კიკნაძე, ლევან ყიფიანი, გამცემლიძე, მუჯირი...). სხვა საქმეა ფიზიკური მომზადება. კარგ მომზადებაზე არ მოგახსენებთ. დანიის ჩემპიონატში ბრწყინვალედ თუ არა ხარ ფიზიკურად მომზადებული, არაფერი გესაქმება. რაც უნდა ტექნიკური იყო, ვერაფერს გახდები. სამაგიეროდ, თუ „ფიზიკაში" იმათ დონეზე ხარ, იცოცხლე, სარკესავით ჩანს შენი ტექნიკური უპირატესობა და გუნდსაც გვარიანად გამოადგები. ამის ნათელი დადასტურებაა „კოპენჰაგენის" თავდამსხმელების, ტყუპი იოჰანსენების თამაში. „კოპენჰაგენ" — „ოლბორგის" მატჩს დანიის ნაკრების თავკაცი რიჩარდ მიოლერ-ნილსენი საგანგებოდ ტყუპი იოჰანსენების გამო ესწრებოდა — ნაკრებში გამოძადგებიან თუ არაო...

დანიის ეროვნულ ნაკრებს კი საკუთარი სახე იმიტომ აქვს და კლუბებისგან განსხვავებულ ფეხბურთს იმიტომ თამაშობს, რომ ყველა ფეხბურთელი, ყოველ შემთხვევაში, ისინი, ვინც ნაკრებში ამინდს ქმნის, უცხოეთში გამოდის. დანიის ნაკრების მწვრთნელის მთავარი ამოცანა ისაა, ნაკრებს ტაქტიკური მონახაზი შეურჩიოს და კლუბებში ჩინებულად მოასპარეზე ლეგიონერები ფსიქოლოგიურად შეამზადოს. ევრო-96-ს დანიელები დიდი იმედით ელიან.

დანიურ ფეხბურთზე საუბარს კი მისი სტრუქტურით დავამთავრებ: სუპერლიგა — 12 გუნდი, პირველი დივიზიონი — 16, II დივიზიონი: აღმოსავლეთი ზონა — 8, დასავლეთიც — 8. შემდეგ მოდის ეგრეთ წოდებული დანიის სერიები. ოთხ სერიაში 14-14 გუნდია. ამის ქვემოთ კიდევ 11 რეგიონალური სერიებია, სადაც გუნდებს თვლა არა აქვს (სადღაც 140 გუნდი). ახლა ორ დივიზიონიან და 12 ჯგუფად გაყოფილ 72-გუნდიან ახალგაზრდული ჩემპიონატს არ იკითხავთ? ამას კიდევ ქალთა პირველობა მიუმატეთ... 1602 დანიურ საფეხბურთო კლუბში 235 708 კაცი და 36 693 ქალი მოთამაშე ირიცხება. მოკლედ, დედოფალ მარგრეტე II-ის ყოველი მეცხრამეტე ქვეშევრდომი ბურთს დასდევს. ნეტაი ამათ...


ნესტვედელთა მეკარის მორიგი შეცდომა ოლბორგელმა რასმუსენმა გოლად ვერ აქცია.

**მამუკა კვარაცხელია**
კოპენჰაგენი — ნესტვედი — თბილისი

ჩემპიონთა თასი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## იუვენტუსი: გზა თასამდე

ჯგუფური ტურნირი

13.09.95

**დორტმუნდი — იუვენტუსი 1:3**

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, პესოტო, ტორიჩელი, პორინი, სოუზა, დი ლივიო, კონტე (მაროკი 87), პადოვანო, დელ პიერო (დეშამპი 90), იუგოვიჩი

გოლი: მიოლერი (1); პადოვანო (12), დელ პიერო (37), კონტე (69)

27.09.95

**იუვენტუსი — სტიაუა 3:0**

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, პესოტო, ტაკინარდი (ვერხოვოდი 82), ტორიჩელი, სოუზა, დი ლივიო, დეშამპი, ვიალი, დელ პიერო (პადოვანო 72), რავანელი (კონტე 67)

გოლი: დი ლივიო (35), დელ პიერო (40), რავანელი (89)

18.10.95

**იუვენტუსი — რეინჯერსი 4:1**

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, ტორიჩელი, ვერხოვოდი, პორინი (კარერა 78), სოუზა, დი ლივიო (მაროკი 65), დეშამპი, რავანელი, დელ პიერო, კონტე (ტაკინარდი 83)

გოლი: რავანელი (15, 76), კონტე (17), დელ პიერო (23); გაფი (79)

01.11.95

**რეინჯერსი — იუვენტუსი 0:4**

იუვენტუსი: პერუცი, ტორიჩელი, პესოტო, კარერა, პორინი (ფერარა 79), სოუზა, დი ლივიო, ტაკინარდი (მაროკი 74), ვიალი (რავანელი 70), დელ პიერო, კონტე

გოლი: დელ პიერო (16), ტორიჩელი (65), რავანელი (88), მაროკი (90)

22.11.95

**იუვენტუსი — დორტმუნდი 1:2**

იუვენტუსი: პერუცი, პორინი, პესოტო (სორინი 46), კარერა, ვერხოვოდი, ტაკინარდი (ფუზი 81), დი ლივიო, იუგოვიჩი, ვიალი (დელ პიერო 65), მაროკი, პადოვანო

გოლი: დელ პიერო (90); ცორკი (29), რიკენი (65)

06.12.95

**სტიაუა — იუვენტუსი 0:0**

იუვენტუსი: რამპულა, პორინი, ტორიჩელი, ფერარა, კარერა, პესოტო, კონტე, იუგოვიჩი, დეშამპი, მაროკი (ლომბარდო 66), რავანელი (დელ პიერო 46)

მეოთხედფინალი

06.03.96

**რეალი — იუვენტუსი 1:0**

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა (პესოტო 77), ტორიჩელი, კარერა, ვერხოვოდი, სოუზა (იუგოვიჩი 66), ლომბარდო (პადოვანო 46), კონტე, რავანელი, დელ პიერო, დეშამპი

გოლი: რაული (20)

20.03.96

**იუვენტუსი — რეალი 2:0**

იუვენტუსი: პერუცი, ვერხოვოდი, ტორიჩელი, პორინი, პესოტო, კონტე, დეშამპი, იუგოვიჩი (დი ლივიო 46), ვიალი, პადოვანო (ლომბარდო 74), დელ პიერო (მაროკი 88)

გოლი: დელ პიერო (17), პადოვანო (54)

ნახევარფინალი

03.04.96

**იუვენტუსი — ნანტი 2:0**

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, ვერხოვოდი (მაროკი 62), პესოტო, პორინი, დი ლივიო (ლომბარდო 74), სოუზა (კარერა 82), იუგოვიჩი, დელ პიერო, ვიალი, პადოვანო

გოლი: ვიალი (49), იუგოვიჩი (66)

17.04.96

**ნანტი — იუვენტუსი 3:2**

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, პესოტო, კონტე (იუგოვიჩი 78), ვერხოვოდი, კარერა, დი ლივიო, დეშამპი, ვიალი, დელ პიერო (სოუზა 46), რავანელი (პადოვანო 45)

გოლი: დეკრუა (42), ნდორამი (69), რენუ (82); ვიალი (17), სოუზა (50)

ფინალი

22.05.96

**იუვენტუსი — აიაქსი 1:1 (პ 4:2)**

იუვენტუსი: პერუცი, ფერარა, პესოტო, ტორიჩელი, ვერხოვოდი, სოუზა (დი ლივიო 57), დეშამპი, კონტე (იუგოვიჩი 44), ვიალი, დელ პიერო, რავანელი (პადოვანო 73)

აიაქსი: ვან დერ სარი, სილოი, ბლინდი, ფრენკ დე ბური (სხოლტენი 69), ბოგარდი, რონალდ დე ბური (ვოოტერი 91), ფინიდი, დეეიდსი, კანუ, ლიტმანენი, მუსამპა (კლუივერტი 46)

გოლი: რავანელი (13), ლიტმანენი (42)

# მარჩელო ლიპი: კარგია კარგი გუნდის დამარცხება
# ლუის ვან გაალი: დამნაშავე „იუვენტუსი“ და ტრავმებია

რომის ოლიმპიური სტადიონი ჩემპიონთა თასის ფინალს მესამედ მასპინძლობდა. 1997 წლის 25 მაისს „ლივერპულმა“ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მოუგო 3:1, 1984 წლის 30 მაისს იმავე „ლივერპულმა“ „რომას“ სძლია 1:1-ის მერე პენალტებით — 4:2 და ახლა...

— ჩვენ მზად ვართ, არ ვღელავთ და არც ფორმას ვუჩივით. დიდი მუშაობა გავწიე, უპირველესად, ბიჭების ფსიქოლოგიურად და გონებრივად მოსამზადებლად. მოგება ორივე გუნდს შეუძლია. ჩვენ ვხვდებით ნამდვილად ძლიერ მეტოქეს, ჩამოყალიბებული, საუცხოოდ დამუშავებული ტაქტიკითა და მშვენიერი ტექნიკით, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავს მეორეხარისხოვნად არ ვთვლით. ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, თუმცა კარგად ვიცი, რომ „აიაქსს“ დასახული მიზნის მიღწევა შეუძლია. ეს დიდი რამაა და ჩვენ ამ დონის მისაღწევად ჯერ კიდევ ვმუშაობთ. წინ ჩინებული ფინალი გველის — ასეთი გახლავთ „იუვენტუსის“ მწვრთნელის, მარჩელო ლიპის წინასწარი მოსაზრება, რომში ჩასვლისთანავე რომ გამოთქვა.

— ჩვენ მზად ვართ. ჩვენი სიძლიერე გუნდურ თამაშშია — ამბობდა ალესანდრო დელ პიერო.

— ჩემპიონთა თასის ფინალში მეორედ ვარ და აშკარაა, რომ ეს თამაში, ჩემი წინა ფინალისგან, „სამპდორიას“ შემადგენლობაში „უემბლიზე“ „ბარსელონას“ რომ ვხვდებოდი, დიდად განსხვავდება. ახლა შეუდარებლად უფრო მიზანმიმართულნი ვართ. ერთი თვეა, რაც ფინალში გამარჯვება მთავარ მიზნად დავისახეთ და ყველაფერი ამისკენ გვაქვს მიმართული, მაშინ კი საკუთრივ იტალიის ჩემპიონატში, უეფას თასზე გამსვლელი ადგილისთვის ვიბრძოდით და ყურადღება გაფანტული გვქონდა — მსჯელობდა ჯანლუკა ვიალი

— „აიაქსის“ არ გვეშინია. მგონი, მათ უფრო შეეშინდებათ, რავანელის გახოტრილ თავს რომ დაინახავენ — ასეთი იყო ანჯელო დი ლივიოს აზრი.

ამგვარად, 22 მაისს ჩემპიონთა თასის 41-ე ფინალში 23 წლის წინანდელი წყვილი, „იუვენტუსი“ და „აიაქსი“ თამაშობდნენ. მაშინ „აიაქსმა“ ჯონი რეპის მიერ მე-4 წუთზე გატანილი გოლით მოიგო. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ეს მეოთხე შემთხვევა გახლდათ, ადრე ფინალში ერთმანეთთან ნათამაშები გუნდები განმეორებით რომ შეიყარნენ. აქამდე ასეთი წყვილები „რეალი“ და „რეიმსი“ (1956, 1959), „მილანი“ და „ბენფიკა (1963, 1990) და „მილანი“ და „აიაქსი“ (1969, 1995) გახლდნენ. ისტორიიდან კიდევ იმის გახსენება შეიძლება, რომ „იუვენტუსი“ მეოთხედ იყო ფინალში, „აიაქსი“ კი მეექვსედ. „იუვენტუსს“ ერთხელ ჰქონდა თასი, „აიაქსს“ სამჯერ. საერთოდ ევროთასებზე ტურინის და ამსტერდამის გუნდები მეოთხედ დაწყვილდნენ. იმ, ზემოხსენებული 1973 წლის ფინალის გარდა, ორჯერ 1973-74 და 1977-78 წლების სეზონებში ისინი უეფას თასზე შეიბნენ. ერთხელ „აიაქსმა“ გააგდო „იუვე“, მეორედ კი პირიქით.

ოთხშაბათს, რომში ამსტერდამიდან 15 ათასი გულშემატკივარი ჩავიდა. ჰოლანდიის დედაქალაქის აეროპორტიდან იტალიის დედაქალაქისკენ 60 საგანგებო ავიარეისი შესრულდა. ეს არნახული მაჩვენებელი გახლდათ. შედარებისთვის, შარშან ამ დროს ვენაში „აიაქს“ — „მილანის“ შეხვედრაზე 6 ათასი ჰოლანდიელი ქომაგი ჩავიდა. თუ ამსტერდამელებმა ამდენი მოახერხეს, რომში ჩასვლა ტურინელებისთვის ხომ ერთიორად იოლი იყო. ასეთ ხალხმრავლობაში ვერც სამწუხარო ინციდენტები აირიდეს. თამაშამდე პოლიციამ დააპატიმრა ცხრა სტუმარი გულშემატკივარი, რომლებიც მანქანაში მსხდომ იტალიელ წყვილს შემოერტყნენ და ავტომობილი დაულეწეს. ვალში არც იტალიელი ნაგიურები დარჩენილან. მათ ოთხი სტუმარი დაჭრეს, თან ერთის თქმით, ქუჩაში მოსეირნეთ ზურგიდან დაესხნენ და ისე ჩასცეს დანა.

იყო თუ არა რომში თამაში „აიაქსისთვის“ სტუმრობა, ხოლო „იუვენტუსისთვის“ მასპინძლობა? მნიშვნელოვანწილად იყო, თუმცა... დავუშვათ, თამაში ტურინში რომ ყოფილიყო, იგივე იქნებოდა? ცხადია, არა.

კიდევ ერთი საკამათო მოსაზრება: ამსტერდამელებს ბევრი ფეხბურთელი აკლდათ, უმეტესობა ტრავმის, ზოგიც დისკვალიფიკაციის გამო. ამაზე მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე ლუის ვან გაალმაც გაამახვილა ყურადღება, თუმცა წუწუნი არ მოურთია. ამცირებს ეს გარემოება ტურინელთა გამარჯვებას? ვფიქრობთ, არა. „აიაქსი“ სხვანაირად აგებული გუნდია, სადაც ყველაფერი ინტელექტუალური ცენტრის მიერ დადგენილ მომზადებასა და არჩეულ ტაქტიკაზეა დამოკიდებული. ბუნებრივია, ბოლო სიტყვა აქაც შემსრულებლებზეა, თუმცა ვინმეს გამოკლება და მეორით შეცვლა იმხელა დანაკლისი მაინც არ არის, როგორც სხვაგან. მაგალითისთვის, „აიაქსი“ იოჰან კრუიფის „ბარსელონას“ შევადაროთ. განა რომარიოს ან სტოიჩკოვის ტრავმა „ბარსელონასთვის“ უფრო დიდი ტრაგედია არ იქნებოდა, ვიდრე კლუივერტისა ან რომელიმე დე ბურის ამსტერდამელთათვის? აქ, სტილებს შორის განსხვავებაზე ვამბობთ, თორემ მოთამაშე რომ ხელიდან გამოგეცლება, იცოცხლეთ ცუდია...

განსჯამ ძლიერ გაგვიტაცა, თამაშზე არა გვითქვამს და მისი ასე თუ ისე დამთავრების მიზეზებზე კი ვსაუბრობთ. სჯობს, რომის ოლიმპიურ სტადიონს დავუბრუნდეთ და გავიხსენოთ ის, რაც ტელევიზიით ვნახეთ, რამაც გვასიამოვნა და რასაც დიდი ფეხბურთი ეწოდება.

### 0-15

თავიდანვე ნათელი შეიქნა, რომ შექმნაზე არანაკლებ ყურადღებას მეტოქეები ჩაშლას უთმობდნენ. მაღალ ტემპში ბურთისთვის ბრძოლა — ეს პირველი წუთებიდანვე გამოიკვეთა. პირველ თხუთმეტ წუთში „იუვეს“ შეტევები მძლავრობდა. საჯარიმომდე მისვლა მეტად ძნელი იყო, ამიტომაც მეტოქეები შუა მოედნიდან სომარი სივრცის გამოტოვებას და გრძელი პასებით მოვლენათა საჯარიმოს მისადგომებთან გადატანას ცდილობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ასეთ დროს „მჩხვლეტავი“ მომენტები იქმნებოდა, მოკლე პასებით ან დრიბლინგით გასვლისას კი ან ბურთი იკარგებოდა, ანაც ვინმე ჯარიმდებოდა. ტურინელებმა მეტჯერ „უჩხვლიტეს“. საინტერესო ის გახლდათ, რომ თუკი ისინი აიაქსელ ნახევარმცველთა შეჯგუფებას გადალახავდნენ (უპირატესად, საშუალო ან გრძელი პასით), ბოლო ხაზს უფრო იოლად უმკლავდებოდნენ. „იუვენტუსის“ გოლი სწორედ ამ მონაკვეთში გავიდა. მე-13 წუთზე საჯარიმოში რავანელიმ მიიღო ბურთი, მეკარე ვან დერ სარი და ფრანკ დე ბური კი აშკარად შეცდნენ და თავხოტორა-ჭაღარა ფორვარდს იმის საშუალება მისცეს, რაც ყველას კარის ხაზის გასწვრივ ბურთის დაგორება ეგონა, არადა, გოლი ყოფილა.


ეს-ესაა რავანელიმ გახსნა ანგარიში

REUTER

### 15-30

თამაშის ნირი იცვლება. „აიაქსმა“ მოქმედებათა „იუვენტუსის“ ნახევარზე გადატანა მოახერხა. ისედაც სწრაფმა ტემპმა საწყის თხუთმეტ წუთთან შედარებით საგრძნობლად იმატა. ამ მონაკვეთში ტურინელთა თამაში პრაქტიკულად მარტო ჩაშლისგან შედგება. იყო ერთი ეპიზოდი, როდესაც დელ პიერომ ბრძოლაში ბოგარდს მოუგო, მაგრამ თავისი საფირმო ჩახვეულის დარტყმა ვერ გაბედა, ემანდ, არ ავაცილოო (ეს შიში დელ პიეროს მთელი თამაშის მანძილზე ეტყობოდა) და პასი შეასრულა, რომელიც მეკარემ ჩაჭრა. სხვა მომენტები „აიაქსისა“ იყო: ფინიდის პასით კანუმ დაარტყა — პერუციმ აიღო. ბლინდის დარტყმა კვლავ პერუციმ მოიგერია... მთავარი ამ მონაკვეთში „აიაქსის“ მიერ ინიციატივის მოპოვება გახლდათ.

### 30-35

თამაში ყოველი მტკაველისთვის გიჟურ ომს დაემსგავსა და ძირითადად მოედნის შუაში, უფრო კი ოდნავ „იუვეს“ ნახევარზე ვითარდება. თავიდან მომენტები არ ჩანს, მერე კი ამსტერდამელები ზედიზედ ორ კუთხურს აწვდიან. მეორეს პერუცი მუშტებით იგერიებს, ბურთი საჯარიმოს ხაზთან მუსამპას მისდის, ის არტყამს, ვილაცას ხვდება, ისხლეტს, კანუ ნახტომში კეფით არტყამს და პერუცი იგერიებს (ბოლო წამს ლიტმანენი ოფსაიდშია). შემდეგი შეტევა იტალიელებისაა. დელ პიერო დეშამპს აწვდის, ფრანგი ფრანკ დე ბურს ატყუებს, დასარტყმელ პოზიციაზე გადის, მაგრამ ხეირიანად არ გამოუდის და ვან დერ სარი იგერიებს.

42-ე წუთი. ჯარიმა. „იუვემ“ კედელი აკ.მართა. ფრანკ დე ბურის დარტყმა პერუციმ მოიგერია, ბურთი, იქვე, ფერარას მოხვდა და ლიტმანენს მიუვიდა, რომელიც ჭიდაობაში ვერხოვოდს სჯობნის და ახლო მანძილიდან ათანაბრებს.

### 45-60

მეორე ტაიმის დასაწყისიც, ცხადია, „ცოფიანია“. მეტისმეტად მწვავე მომენტები არ იქმნება, მაგრამ დიდებული ბრძოლაა გაჩაღებული. იკვეთება მორენო ტორიჩელის ფიგურა. ეს მარჯვენა მცველი აუწერელ მეომრულ სულს ავლენს. „აიაქსი“ ორიოდ ეპიზოდში მეკარის მეშვეობით ბურთის ფრთიდან ფრთაზე გადატანას და თამაშის დამშვიდებას ცდილობს. ხანგრძლივ კომბინაციას ვერავინ ატარებს.

### 60-75

ცალკეულ ეპიზოდებში კვლავ იგრძნობა, რომ ჰოლანდიელები საგიჟეთის დამშვიდებას ლამობენ, მაგრამ „იუვე“ არ ანებებს. რავანელი საჯარიმოში მეტად მახვილი კუთხით შედის, აწვდის ვიალის, რომელიც ძლიერად დარტყმას ვერ ახერხებს და ბურთს ვან დერ სარი იგერიებს. შემდეგ დელ პიერო საჯარიმოში გვარიანად შემოტრიალებას და დარტყმას ვერ ახერხებს. აშკარაა, რომ მხოლოდ ჩაშლაზე თამაში წარმატებისთვის საკმარისი არაა. ბრძოლა იმდენად მძაფრია, რომ ფეხბურთელები მსაჯს, ესპანელ მანუელ დიას ვეგასაც კი აქცევენ. სხვათა შორის, არბიტრმა დიდებულად გაართვა თავი ურთულეს შეხვედრას. ვიალი საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა და სადღაც თერთმეტმეტრიანის ნიშნულისაკენ დააგორა. იქ რომ ვინმე ყოფილიყო... ისევ ვიალის პასით დელ პიერომ საჯარიმოს შიგნიდან დაარტყა — მეკარემ აიღო. ამ თხუთმეტწუთიანი მონაკვეთის ბოლოს უფრო ტურინელთა უპირატესობაა.

### 75-90

უეცრად გუნდების განწყობილება იცვლება. ტემპი კვლავ მაღალია, ბრძოლაც, იცოცხლეთ, ისეთი, მაგრამ მაინც აშკარად იგრძნობა საფინალო სასტვენის მოახლოება. მეტოქენი თითქოს მეტად ფრთხილნი გახდნენ. წინა პლანზე, ეტყობა, გოლის არგაშვების სურვილი გამოდის. და უცებ, ვიალის ყველაფრის დასრულების საუცხოო შანსი ეძლევა. ეს ასე მოხდა: იუგოვიჩი ცენტრიდან პადოვანოს აწვდის, პადოვანო საჯარიმოში სილოის იცილებს, მაგრამ თავადაც ეცემა. ის მაინც ასწრებს ვიალისთვის ბურთის მიგორებას, 32 წლის ფორვარდი კი მეკარეს ატყუებს და მახვილი კუთხიდან მოცარიელებულ კარში ვერ გააქვს. ძირითადი დროის ბოლო წუთებში ტურინელთა გუნდს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა — ტორიჩელის გარღვევა და ჩაწოდება — ვან დერ სარმა პადოვანოს ბურთი თავზე ააცალა. ორჯერ ის ვიალისაც აცლის ბოლო წამს.



### 90-105

საერთო სურათში პრინციპულად არაფერი შეცვლილა, მცველებმა პესოტომ და ტორიჩელიმ კი ფრთები გაცვალეს. პადოვანოს პასს იუგოვიჩმა თაური შეაგება, მაგრამ ააცილა. ვოოტერმა დაარტყა და ვერ გაიტანა. ვოოტერი სხვებზე დასვენებულია და უფრო ჩანს. ბლინდის დარტყმას პერუცი იგერიებს, იუგოვიჩი შორიდან აცილებს. პადოვანომ დელ პიეროს გადააწოდა, ამან დარტყმა ვერ გაბედა და ბურთი იუგოვიჩს გადაუგდო. დელ პიეროს თავად რომ დაერტყა, შესაძლოა, გაეტანა კიდეც, ასე კი აიაქსელებმა ჩაუჭრეს. ტურინელებმა ორი კუთხური მოაწოდეს, მაგრამ უშედეგოდ. ამრიგად, დამატებითი დროის პირველ თხუთმეტ წუთში დომინანტი ვერ გაირკვა. დაღლა და სიფრთხილე ბუნებრივად დაეტყოთ გუნდებს.

### 105-120

ტორიჩელის წაქცევისთვის ჯარიმა ინიშნება. „აიაქსი“ ცოცხალ კედელს აღმართავს. იუგოვიჩის დარტყმული კედელში მდგომ კანუს თავში ხვდება, მიმართულებას იცვლის და ლამის კარში შედის. მომენტებს კვლავ „იუვენტუსი“ ჰქმნის. შორიდან დარტყმულს ვან დერ სარი ოსტატური ნახტომით იგერიებს. იტალიელები აშკარად მძლავრობენ. ცხადია, ასეთ დროს კონტრშეტევის საფრთხე მატულობს, მაგრამ „იუვე“ დაცვასაც საუცხოოდ აკონტროლებს. ვიალი საჯარიმოში მახვილი კუთხით ბოგარდს სცდება, ტრიალდება, მის ფეხებში ბლინდი ცდილობს ჩაცურებას, მაგრამ ვიალი არტყამს, თუმცა არც ისე ძლიერად და მეკარე იგერიებს. პადოვანო საჯარიმოში იუგოვიჩს აწვდის, ის დელ პიეროს, დელ პიერო კი ძლიერად პირდაპირ ხელებში უმიზნებს ვან დერ სარს.

### პენალტები

დევიდსი — 0:0, ფერარა — 1:0, პესოტო — 2:1, სხოლტენი — 2:2, პადოვანო — 3:2, სილოი — 3:2, იუგოვიჩი — 4:2

— ჩვენ ვიმსახურებდით გამარჯვებას — თქვა მატჩის შემდეგ მარჩელო ლიპიმ — ვიმსახურებდით ჯერ კიდევ 90 წუთში, შემდეგ 120-შიც. ეს იყო ძლიერ კარგი შეხვედრა ევროპის ორ უძლიერეს გუნდს შორის. თასის მოპოვება მრავალნაირად შეიძლება, მაგრამ უმჯობესია ძალიან კარგ გუნდს თუ დაამარცხებ. ჩემი ფეხბურთელები დიდი პროფესიონალები არიან, რომელთაც ორი წლის დაუზარელი შრომის შედეგი მოიმკეს.

— ჩემმა ფეხბურთელებმა მწვერვალს ვერ მიაღწიეს, ამაში დამნაშავე კი „იუვენტუსი“ და ტრავმებია. თავს როდი ვიმართლებ, ფაქტებს ვამბობ. პენალტებამდე მივხვდი, რომ თამაში წაგებული გვქონდა, რადგან ბევრმა ფეხბურთელმა თერთმეტმეტრიანის დარტყმას თავი აარიდა. ხომ ნახეთ, „იუვენტუსი“ როგორი დარწმუნებული იყო საკუთარ თავში. — ეს ლუის ვან გაალის ნათქვამია.

ბოლოს გთავაზობთ მატჩის სტატისტიკურ ანგარიშს.

| იუვენტუსი | | აიაქსი |
|---|---|---|
| 1 | გოლი | 1 |
| 13 | კარში დარტყმა | 6 |
| 10 | ზოგადად დარტყმა | 5 |
| 10 | კუთხური | 6 |
| 20 | ჯარიმა | 26 |
| 2 | თამაშგარე | 4 |
| 41 | ბურთის ფლობა | 59 |

ილია ბაბუნაშვილი

# ისინი ინგლისს მიდიან

პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა ანტონიო ოლივეირამ დაასახელა ის 22 ფეხბურთელი, რომელთაც ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანს. გუნდი 27 მაისს დუბლინს გაემართება, სადაც 29-ში ირლანდიასთან ბოლო ამხანაგურს ითამაშებს. ოლივეირას გუნდი ასეთია:

ვიტორ ბაია (პორტუ), რუი კორეა (ბრაგა), ალფრედო კასტრო (ბოავიშტა); კარლოს სეკრეტარიუ (პორტუ), ჰელდერი (ბენფიკა), ფერნანდო კოუტუ (პარმა, იტალია), პაულუ მადეირა (ბელენენსეში), პაულინიუ სანტუში (პორტუ); ოსეანუ (სპორტინგი), ჟოზე ტავარეში (ბოავიშტა), დიმას ტეშეირა (ბენფიკა), ლუის ფიგუ (ბარსელონა, ესპანეთი), პაულუ სოუზა (იუვენტუსი, იტალია), ვიტორ პანეირა (გიმარაეში); დომინგუში (პორტუ), ჟოაო პინტუ (ბენფიკა), ანტონიუ ფოლია (პორტუ), პედრო ბარბოსა (სპორტინგი), რიკარდო სა პინტუ, უგო პორფირიუ (უნიაუ ლეირია), რუი კოშტა (ფიორენტინა, იტალია), ჟორჟე კადეტე (სელტიკი, შოტლანდია)

25 ფეხბურთელი დაასახელა თურქეთის ნაკრების მწვრთნელმა ფაით თერიმმა, რომელსაც უახლოეს მომავალში სამი ფეხბურთელის გამოკლება მოუწევს ამ სიიდან: რუსთუ რასბერი (ფენერბაჰჩე), შანვერ გოიმენი (ალთაი), ადნან ერქანი (ანკარაგიუჯუ); ალფაი ოზალანი, რეჯეფ ჩეთინი (ბეშიქთაში), ბულენთ ქორქმაზი (გალათასარაი), ოგუნ თემიზქანოღლუ, ოსმან ოზქოილუ (ტრაბზონსფორი), ერქან ავსერენი (ვანსფორი), რაჰიმ ზაფერი (გენჩლერბირლიგი); ტაიფუნ ქორქუთი, ოგუზ ჩეთინი (ფენერბაჰჩე), სერჯერ იალჩინი (ბეშიქთაში), თოლუნაი ქაფქასი, აბდულა (ტრაბზონსფორი), თუგაი ქერიმოღლუ (გალათასარაი), ვედათ ინსეეფე (ქარაბუქსფორი); ბულენთ უიგუნი (ფენერბაჰჩე), ერთუგრულ საგლამი (ბეშიქთაში), ჰამი, ორჰანი (ტრაბზონსფორი), ჰაქან შუქური, არიფ ერდემი (გალათასარაი), საფეთ სანსაქლი, ფარუქი (ქოჯაელისფორი)

აქვე ხელმეორედ გაგაცნობთ ფრანგთა 22 კაციან შემადგენლობას, ოღონდ ამჯერად ნომრების მიხედვით

1. ბერნარ ლამა
2. ჟოსელინ ანგლომა
3. ერიკ დი მეკო
4. ფრანკ ლებეფი
5. ლორან ბლანი
6. ვინსენ გერენი
7. დიდიე დეშამპი
8. მარსელ დესაი
9. იური ჯორკაეფი
10. ზინედინ ზიდანი
11. პატრის ლოკო
12. ბიქსენ ლიზარაზუ
13. კრისტოფ დუგარი
14. საბრი ლამუში
15. ლილიან ტურამი
16. ფაბიენ ბარტეზი
17. მიშელ მადარი
18. რეინალდ პედროსი
19. კრისტიან კარემბუ
20. ალენ როში
21. კორენტინ მარტინი
22. ბრუნო მარტინი

# აგვისტოდან ევროთასებზე

თუმც ევროთასებზე წლევანდელი გათამაშება ახლახან დამთავრდა, უკვე ცნობილია, როგორ განითესებიან გუნდები ახალ სეზონში. ლაპარაკია ჩემპიონთა თასზე, სადაც რვა გუნდი, რომლებიც პირდაპირ ჯგუფურ ტურნირში დაიშვებიან, ცნობილია. ესენია: „იუვენტუსი", „აიაქსი", „მილანი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ოსერი", „დორტმუნდი", „პორტუ" და ესპანეთის ჩემპიონი. დანარჩენი 16 გუნდი, რომლებიც ჯგუფურ ტურნირში სათამაშოდ წინასწარ წრეს გაივლიან, დაყოფილია განთესილ და განუთესავ ნაწილებად. განთესილები წინასწარ წრეში ერთმანეთს არ შეხვდებიან. ესენია: „პანათინაიკოსი", „ფენერბაჰჩე", ავსტრიის ჩემპიონი, „გრასჰოპერი", „ალანია", დანიის ჩემპიონი, „გეტებორგი" და პრაღის „სპარტა". მათ შეხვდებიან: „გლაზგო რეინჯერსი", უკრაინის ჩემპიონი, „სტიაუა", თელ-ავივის „მაკაბი", „რუსენბორგი", უნგრეთის ჩემპიონი, პოლონეთის ჩემპიონი და ნიქოზიის „აპოელი".

წინასწარი ეტაპის კენჭისყრა (სამივე თასის) 6 ივლისს გაიმართება. რაც შეეხება მომავალ, 1997-98 წლების სეზონს, სადაც, ალბათ, 16-ის ნაცვლად ლიგაში 24 გუნდი ითამაშებს, ეს საკითხები უეფას აღმასრულებელ კომიტეტს წუხელ უნდა გაერჩია.

## საფრანგეთი

ბოლო, 38-ე ტური. ოსერი — ნანტი 2:1, ლე ავრი — ლანსი 1:1, ლილი — ბორდო 0:2, ლიონი — კანი 1:0, მარტიგი — გინგამი 2:1, მეცი — გენიონი 1:2, ნიცა — სენტ ეტიენი 2:0, პსჟ — ბასტია 5:1, რენი — მონაკო 2:3, სტრასბური — მონპელიე 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოსერი | 38 | 22 | 6 | 10 | 66:30 | 72 |
| პსჟ | 38 | 19 | 11 | 8 | 65:36 | 68 |
| მონაკო | 38 | 19 | 11 | 8 | 64:38 | 68 |
| მეცი | 38 | 18 | 11 | 9 | 42:30 | 65 |
| ლანსი | 38 | 16 | 15 | 7 | 44:31 | 63 |
| მონპელიე | 38 | 17 | 9 | 12 | 51:40 | 60 |
| ნანტი | 38 | 14 | 13 | 11 | 44:42 | 55 |
| რენი | 38 | 13 | 15 | 10 | 43:41 | 54 |
| გინგამი | 38 | 13 | 14 | 11 | 34:33 | 53 |
| სტრასბური | 38 | 14 | 12 | 12 | 46:44 | 51 |
| ლიონი | 38 | 10 | 18 | 10 | 40:42 | 48 |
| ნიცა | 38 | 12 | 9 | 17 | 37:44 | 45 |
| ლე ავრი | 38 | 11 | 12 | 15 | 33:45 | 45 |
| კანი | 38 | 12 | 8 | 18 | 45:50 | 44 |
| ბასტია | 38 | 12 | 8 | 18 | 45:55 | 44 |
| ბორდო | 38 | 11 | 9 | 18 | 44:51 | 42 |
| ლილი | 38 | 9 | 12 | 17 | 27:50 | 39 |
| გენიონი | 38 | 8 | 14 | 16 | 27:46 | 38 |
| სენტ ეტიენი | 38 | 6 | 16 | 16 | 36:59 | 34 |
| მარტიგი | 38 | 9 | 7 | 22 | 30:59 | 34 |

1996 წლის 19 მაისს გაიმართა „სპორტლოტო 5-36-დან" 03 ტირაჟი.

მოგებული ნომრები: **1, 27, 2, 26, 7.**

მოგებათა რაოდენობა და თანხები: 5 ნომერი ვერავინ გამოიცნო; 4 ნომერი (4 ვარიანტი) 19,90 ლარი; 3 ნომერი (20 ვარიანტი) 5,30 ლარი. 5 ნომრის მოუგებელი თანხა 79,50 ლარი გადადის 04 ტირაჟში. სულ „ჯეკ პოტი" ამ ტირაჟისათვის შეადგენს 204 ლარს. მოგებების განაღდება იწარმოებს 1996 წლის 22 მაისიდან 20 ივნისის ჩათვლით. მორიგი, მე-4 ტირაჟი გაიმართება 2 ივნისს.

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი


# საფეხბურთო ტოტალიზატორი
# ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი № 32 (25-27 მაისი)

| | |
|---|---|
| 1 სელტა — ვალენსია | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 2 ესპანიოლი — კომპოსტელა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 3 სევილია — სალამანკა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 4 მერიდა — ოვიედო | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 5 ატლეტიკო — ალბასეტე | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6 დეპორტივო — ბარსელონა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7 სარაგოსა — რეალი | ესპანეთის ჩემპიონატი |

№31 ტირაჟის შედეგები

1. 1-0 2. 1-0 3. 0-0 4. 3-8 5. 1-1 6. 3-2 7. 4-0

მოგებები: ხუთი მატჩი — 175 ლარი (2 ვარიანტი). ექვსი და შვიდი მატჩის ანგარიში ვერავინ გამოიცნო. JACK POT — შესაბამისად 805 და 1185 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, ახმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგება გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ესკიზი" (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.


# ფეხბურთის რუკასთან



**საფრანგეთის** ნაკრების წევრი, თასების თასის მფლობელი იური ჯორკაეფი „პარი სენ-ჟერმენიდან" მილანის „ინტერში" გადავიდა. კონტრაქტის დეტალები ოფიციალურად არ გაუცხადებიათ, მაგრამ პრესაში გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, 28 წლის ვარსკვლავის საფასური 30 მილიონი ფრანკი ანუ 6 მილიონი დოლარია. ფეხბურთელები სტოვებენ „ბორდოსაც": ქვეყნის საუკეთესო მოთამაშე ზინედინ ზიდანი ალბათ „იუვენტუსს" შეუერთდება. ფეხბურთელმა თქვა, რომ საბოლოო სიტყვას უახლოეს დღეებში იტყვის. თავდამსხმელი კრისტოფ დუგარი მოკლე ხანში აირჩევს „ნაპოლის", „ინტერს", „იუვენტუსს", „ბლექბერნს" და „არსენალს" შორის ერთ-ერთს. ბისენ ლიზარაზუ კი ბილბაოს „ატლეტიკში" წავა. „ბორდოს" პრეზიდენტმა ალან აფნელმა განაცხადა, ფეხბურთელებს შარშანდელზე უკეთესი პირობები შევთავაზე, მაგრამ დარჩენა მაინც არ ისურვესო. „ბორდოდანვე" წავიდნენ ლეგიონერები. ჰოლანდიელი რიხარდ ვიჩხე „აიაქსში" რომ დაბრუნდა, წინაზე გაცნობეთ. გუნდი მიატოვა დანიელმა იაკობ ფრიც-ჰანსენმაც, რომელმაც „ჰამბურგს" მიაშურა და იქ სამწლიან კონტრაქტზე აწარმოებს მოლაპარაკებებს. ფრიც-ჰანსენმა „ბორდომდე" ექვსი წელი „ლილში" გაატარა. ჩემპიონ „ოსერის" 31 წლის მცველი, ნაკრების წევრი ლორან ბლანი კი „ბარსელონაში" გადავიდა. მისი შეძენა ახლახან მოხსნილი იოჰან კრუიფის მოთხოვნა იყო.

**ესპანეთში** „რეალის" არგენტინელი ფორვარდი ხუან ესნაიდერი მომავალში „ატლეტიკოში" ითამაშებს. კლუბები ყველა დეტალზე მორიგებულან და ახლა მოთამაშის სიტყვასღა ელიან. ესნაიდერმა „ატლეტიკოში" უნდა შეცვალოს ბულგარელი ლუბოსლავ პენევი, რომელიც, საერთო აზრით, ამ სეზონში გუნდის უსუსტესი ფეხბურთელი იყო. „ატლეტიკოს" „სამეფო გუნდიდან" კიდევ ერთი თავდამსხმელის, ჩილელი ივან სამორანოს გადაყვანაც სურს, თუმცა აქ მისი კონკურენტი მილანის „ინტერია". სამორანომ უარყო ჭორი, რომ თითქოს მას „ინტერთან" უკვე დაუდევს ხელშეკრულება. მისი თქმით, საბოლოო გადაწყვეტილებას 30 ივნისს განაცხადებს, როდესაც „რეალთან" კონტრაქტს ვადა გაუდის. ფაქტი ერთია, ჩილელი მადრიდში დარჩენას არაფრისდიდებით აპირებს. სამაგიეროდ, „რეალმა" იტალიელ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსთან ყველა ფორმალობა მოაგვარა — კონტრაქტი უკვე ხელმოწერილია. უახლოეს ხანს ეს დიდი კლუბი ახალ მოთამაშეებსაც შეიძენს. ჩერნოგორიელი პრედრაგ მიატოვიჩის „ვალენსიიდან" გადაყვანა, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია. ელიან „სევილიიდან" ხორვატ დავორ შუკერის შემოერთებასაც. „ბარსელონა" „რეალისგან" შეიძენს ლუის ენრიკეს. „ტენერიფეს" ხუან პიციც „ბარსაში" უნდა გადასულიყო, მაგრამ საქმეში რომის „ლაციო" ჩაერია და რით დამთავრდება ვაჭრობა, ჯერ უცნობია.

**იტალიაში** „რომას" მწვრთნელი კარლო მაცონე კონტრაქტის გალევამდე ერთი წლით ადრე მიდის თანამდებობიდან, ოღონდ იმუქრება, თუ ახალი სამსახური ვერ ვიშოვე, პრეზიდენტს ფრანკო სენსის გაისის ხელფასს სასამართლოს ძალით გადავახდევინებო. „რომას" ახალი მწვრთნელი, როგორც ადრე გაცნობეთ, იქნება არგენტინელი კარლოს ბიანკი.

**უელსის** თასი კვირას მოიგო „ლანსანტფრეიდ იმ მეჩეინმა", გუნდმა, რომლის სოფელშიც სულ 954 ადამიანი ცხოვრობს და ორად-ორი პაბია. ფინალის დღეს 954-ვე მცხოვრები სტადიონზე იყო. სოფლელებმა პენალტებით სძლიეს პროფესიულ „ბერი თაუნს" და ახლა თასების თასზე საასპარეზოდ ემზადებიან. გუნდში თამაშობს ხუთი სტუდენტი, ინკასატორი, ხარატი და სხვა პროფესიის ხალხი.

**კორეაში** ბუდისტებმა საგანგებო რიტუალით შესთხოვეს უფალს მსოფლიოს **2002** წლის ჩემპიონატის მასპინძლობა. მოგეხსენებათ, ამ საქმეში კორეას იაპონია უპირისპირდება. ბუდისტ ლიდერთა თქმით, ძლიერ მნიშვნელოვანია, რომ ხალხმა ფეხბურთის საკითხებში ბუდას დახმარება იგრძნოს. ამ გრძნობას ძველი შუღლიც აძლიერებს: **1910** წლიდან **1945**-მდე ხომ კორეა იაპონიის კოლონია იყო, თანაც წლეულს ბუდას დაბადებიდან **2540** წლისთავია.

**იტალიელმა** ვარსკვლავმა ჯანლუკა ვიალიმ საკუთარ მომავალზე ფიქრი დაიწყო. ყოველ შემთხვევაში, ადრე ასე განაცხადა, მომავლის საკითხს ჩემპიონთა თასის ფინალის მერე გავარკვევო. ვიალის ივლისში 32 წელი უსრულდება. მის გადაბირებას ცდილობენ „გლაზგო რეინჯერსი", „ჩელსი", „პარმა" და „სამპდორია". არც ისაა გამორიცხული, რომ ჯანლუკა „ბებერ ქალბატონთან" დარჩეს. დიდი შანსი აქვს მისი კარიერის პირველ კლუბს „სამპდორიასაც".

**ინგლისში** **10** ივნისს სამი კაცი და ერთი ქალბატონი წარდგებიან დედაქალაქის სასამართლოში. მათ ბრალად ედებათ საევროპოჩემპიონატო მოსაწვევების შავ ბაზარზე გაყიდვა. როგორც იუწყებოდნენ, ასეთსავე საქმეზე **30** აპრილს **18** ადამიანი დააპატიმრეს.

**ბრაზილიაში** რომარიომ „ფლამენგო" — „იტაპერუნას" შეხვედრაში, რომელიც „ფლამენგომ" 3:0 მოიგო, ორი გოლი გაიტანა და ერთიც პენალტი ააცილა. გატანილთაგან ერთი ასევე პენალტი იყო. თამაშის ბოლოს, ჩხუბისთვის თავდამსხმელი მოედნიდან გააძევეს. მან მეტოქის ფეხბურთელს სილვანოს უთავაზა. სილვანოს სხვებზე მეტად გამოესარჩლა ნახევარმცველი ჟუნუპრიუ. მსაჯმა იგიც გააგდო. ახლა რომარიო 19 გოლით ბომბარდირთა სათავეშია.

**არგენტინის** ნაკრები **2** ივნისს ეკვადორში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევს ითამაშებს. სტუმართა მწვრთნელი დანიელ პასარელა ფრიად შეშფოთებულია იმით, რომ შეხვედრა ეკვადორის დედაქალაქ კიტოში, ზღვის დონიდან **2800** მეტრზეა დანიშნული. პასარელამ ნაკრებში დააბრუნა **34** წლის ალბერტო მარსიკო, რომელიც კარლოს ბილარდომ „ბოკა ხუნიორსიდან" გააგდო, მაგრამ ფეხბურთელი „ხიმნასია ლა პლატაში" გადავიდა და შესანიშნავად თამაშობს. „ხიმნასია" ქვეყნის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და „ბოკას" **6:0** მოუგო. პასარელამ აღარ მიიწვია „ბოკას" ნესტორ ფაბრი და „სან ლორენცოს" მეკარე ოსკარ პასეტი. მათ ნაცვლად მოიხმეს ესპანეთში, „რეალ სარაგოსაში" მოთამაშე ფერნანდო კასერესი და „რივერ პლეიტის" ხერმან ბურხოსი. დიეგო მარადონა და ფერნანდო რედონდო მწვრთნელთან უბრად არიან. „რომას" თავდამსხმელი აბელ ბალბო კი, თუ ჯანმრთელად იქნა, ნაკრებს იქითა კვირას შეუერთდება. არგენტინამ პირველ თამაშში ბოლივიას **3:1** მოუგო, ეკვადორმა კი პერუს — **4:1**.

**ინგლისის** ნაკრები ჩინეთს ჩავიდა და ყბადაღებულ „მუშათა სტადიონზე" ივარჯიშა. მწვრთნელმა ტერი ვენეიბლზმა განაცხადა, რომ მას მერე, რაც მან მაისის დასაწყისში ლამის გააუქმა დანიშნული შეხვედრა, მოედანი გაუუმჯობესებიათ. ვენეიბლზის თქმით, იგი იდეალურიდან შორსაა, მაგრამ მასზე თამაში შეიძლება. ფეხბურთელი მარკ რაიტი კი, რომელიც უნგრელებთან ამხანაგურ მატჩში დაშავდა, არათუ ჩინეთს ვერ გაემგზავრა, ევროპის ჩემპიონატსაც გამოსტოვებს.

**გერმანელმა** ვარსკვლავმა რუდი ფიოლერმა ლევერკუზენში ფეხბურთს თავი დაანება. გამოსათხოვარ მატჩში **36** წლის ვეტერანი გააცილეს გერმანიის ნაკრებისა და ვარსკვლავთა ნაკრების ფეხბურთელებმა. ვარსკვლავთა ნაკრებში თამაშობდნენ ფიოლერის მეგობრები „ინტერიდან", „მარსელიდან" და საკუთრივ გერმანიიდან. **22** ათასი მაყურებლის თვალწინ ფიოლერმა **63**-ე წუთზე მეგობართა გუნდის კარში გოლი შეაგდო და მალე შეცვალეს კიდეც. გაიმარჯვა გერმანიის ნაკრებმა — **3:1**. პირველ ტაიმში ვეტერანი ვარსკვლავთა ნაკრებში თამაშობდა. ფიოლერმა გერმანიის ეროვნული გუნდის **90** მატჩში **47** გოლი გაიტანა.

**იტალიის** თასის მფლობელი „ფიორენტინა" ამერიკას ჩავიდა და ამხანაგურ მატჩში 2:0 მოუგო „ნიუ ინგლანდ რევოლუშენს". თამაში „ფოქსბოროს" სტადიონზე გაიმართა 14 047 მაყურებლის წინაშე. ანგარიში მე-80 წუთზე გაბრიელ ბატისტუტამ გახსნა, ოთხი წუთის შემდეგ კი მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტით რობიატიმ 2:0 გახადა. „ფიორენტინას" რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა. დღეს იტალიური კლუბი ნიუ-ჯერსიში „მეტროსტარზს" ხვდება.

**ჩეხეთის** თასი მოიპოვა პრაღის „სპარტამ", რომელმაც ფინალში დრნოვიცეს „პეტრას" **4:0** მოუგო. ორი გოლი **27**-ე და **55**-ე წუთებზე პაველ ნედვედმა გაიტანა, კიდევ ორი — ზდენეკ სვობოდამ (**45**) და პეტრ კუბამ (**72**).

**საფრანგეთში** „ბორდოს" მწვრთნელი შეეცვალა. უერონ რორის ნაცვლად გუნდს როლან კურბი გაწვრთნის. კურბი „ბორდოდან" ორი წლის წინ „ტულუზაში" გადავიდა. ტულუზაში მუშაობის დროს მას ადრე „ტულონში" მწვრთნელობის დროინდელი ფინანსური მაქინაციები გაუხსნეს და სამი წლით ციხე მიუსაჯეს. ნაციხარი მწვრთნელი ბედნიერია, რომ საყვარელ გუნდს დაუბრუნდა.

**შოტლანდიაში** გლაზგოს „სელტიკის" მოთამაშეები იმდენად უკმაყოფილონი არიან ჩემპიონის ტიტულის და თასის „რეინჯერსისთვის" დათმობით, რომ საზაფხულო არდადეგებზე უარი თქვეს.

**ესპანეთში** მადრიდის „რეალის" ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ რეკომენდაცია გაუწია „სამპდორიას" ჰოლანდიელ ზანგს კლარენს ზეედორფს. ზეედორფი „რეალში" გადასვლას



კლარენს ზეედორფი

დათანხმდა. გარიგება 4,8 მილიონ დოლარად შეფასდა. ამბობენ, თვით ზეედორფი სეზონში 1,6 მილიონს მიიღებსო.

**ესპანეთში** „ბარსელონასთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ბობი რობსონმა. რობსონს, როგორც ცნობილია, „პორტუში" კიდევ ერთი წელი უნდა ემუშავა, მაგრამ კატალონიაში გადასვლა ისურვა. „პორტუს" ხელმძღვანელობამ ინგლისელ მწვრთნელს წასვლის ნება დართო. ახლა რობსონი ორ კვირას ახალ ქალაქში გაატარებს, რათა ვითარებას გაეცნოს და თავის პორტუგალიელ ასისტენტ ჟორჟე მაურინიოსთან ერთად სამომავლო გეგმები დასახოს.

**თურქეთის** ჩემპიონი 1989 წლის მერე პირველად გახდა „ფენერბაჰჩე". გუნდს ეს ტიტული 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა მწვრთნელმა, ბრაზილიელმა კარლოს ალბერტო პარეირამ მოაპოვებინა, მაგრამ იგი, ოფიციალური ვერსიით, ოჯახური მიზეზების გამო სტოვებს თანამდებობას. მის შემცვლელად თურქებმა მისივე თანამემამულე, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი სებასტიანო ლაზარონი მიიწვიეს. ლაზარონი კონტრაქტს 27 მაისს მოაწერს ხელს.

**უელსელი** ვარსკვლავი, **34** წლის იან რაში „ლივერპულიდან" „ლიდს იუნაიტედში" გადავიდა. „ლივერპულთან" ამაღელვებელი და ხანგრძლივი განშორების შემდეგ რაშმა უამრავ წინადადებათა შორის „ლიდსი" ირჩია, რადგან, მისი თქმით მხოლოდ უმაღლეს დონეზე და საუკეთესოთა შორის შეუძლია თამაში, თანაც თავს **18** წლის ბიჭივით ვგრძნობო, ესეც განაცხადა.

**შოტლანდიის** ნაკრებისა და გლაზგოს „სელტიკის" ნახევარმცველი ჯონ კოლინზი სამი წლით „მონაკოში" გადავიდა. მას გლაზგოურ კლუბთან კონტრაქტი გაუთავდა და შესაძლოა (ოფიციალურად არაფერს იტყობიან) უფასოდაც წავიდა სა-



კოლინზი შარშან ბათუმელებთან გუნდის კაპიტანი იყო

ფრანგეთს. „მონაკომვე" შეიძინა 22 წლის ბელგიელი მცველი ფილიპ ლეონარდი. ლეონარდი ლიეჟის „სტანდარტში" გამოდიოდა.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ესპანეთის ჩემპიონატი. ბოლო, 42-ე ტური
25-26 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სანტანდერი — სოსიედადი | 1,8 | 2,2 | 3,3 |
| ატლეტიკო — ალბასეტე | 1,15 | 3,0 | 8,0 |
| ხიხონი — ტენერიფე | 3,6 | 3,2 | 1,4 |
| სევილია — სალამანკა | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| ესპანიოლი — კომპოსტელა | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| სელტა — ვალენსია | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| დეპორტივო — ბარსელონა | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ვალიადოლიდი — ბეტისი | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| მერიდა — ოვიედო | 1,3 | 3,4 | 4,0 |
| სარაგოსა — რეალი | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| ატლეტიკი — რაიო ვალეკანო | 1,4 | 3,0 | 4,0 |

გერმანიის თასის ფინალი
25 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტერნი — კარლსრუე | 3,0 | 3,0 | 1,6 |

## ევროპის ჩემპიონატის მოგების ფსონები

| | |
|---|---|
| ინგლისი | 2,2 |
| იტალია | 2,2 |
| გერმანია | 2,5 |
| ჰოლანდია | 5,0 |
| ესპანეთი | 5,0 |
| საფრანგეთი | 7,0 |
| ხორვატია | 10,0 |
| რუსეთი | 10,0 |
| დანია | 15,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| რუმინეთი | 20,0 |
| შოტლანდია | 20,0 |
| ბულგარეთი | 30,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 75,0 |
| თურქეთი | 100,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 2-2 | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | 0-0 | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | 1-1 | 3-0 | | 0-0 | 0-0 | 0-2 | 4-2 | 3-1 | 5-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | 3-0 |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | 1-0 | 4-1 | 1-1 | 2-2 | 1-0 | 1-0 | 3-2 | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 2-2 | 0-0 | 0-0 | ■ | 0-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 0-1 | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | 1-3 | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | 2-0 | 1-2 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 0-4 | 1-3 | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | 0-3 | 1-2 | 2-1 | ■ | 1-1 | 1-2 | 3-1 | 0-0 | 0-1 | 4-2 | 4-1 | 1-1 | [illegible] | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | 3-1 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | 1-0 | 3-0 | 0-4 | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 3-1 | 2-1 | 2-1 |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | 1-2 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 4-1 | 1-1 | 2-1 | 0-1 | 3-1 | 2-3 | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | 2-2 | 0-1 | 2-0 | 0-6 | 0-3 | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | 4-3 | 2-0 | 1-2 | 1-4 | 0-0 | 2-4 | 3-2 | 0-2 | 1-3 | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | 2-0 | 1-2 | 1-1 | 1-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 2-2 | 2-3 | 1-3 | 0-1 | 3-8 | 1-1 | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 0-4 | 1-2 | 2-0 | 0-0 | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | 1-2 | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-3 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | 3-1 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 8-1 | 0-1 | 1-1 | 2-2 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-1 | 5-2 | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 2-3 | 2-3 | 1-5 | 0-0 | 5-0 | 2-5 | 1-0 | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | 2-2 | 3-1 | 3-1 | ■ | 4-0 | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | 2-4 | 2-2 | 1-3 | 2-1 | 1-0 | 3-0 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | 5-0 | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 | | ■ | 0-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | 1-2 | 4-0 | 4-2 | ■ | 2-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | 1-0 | 1-0 | 4-1 | 3-1 | 5-2 | 1-0 | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | 2-1 | 0-0 | 0-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-2 | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | 0-0 | 0-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 1-1 | 0-3 | 2-2 | 3-1 | 0-0 | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | 4-2 | 1-0 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 2-0 | 2-1 | 4-0 | 2-2 | | 1-1 | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | 1-0 | 0-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 | 0-1 | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-2 | 2-0 | 0-2 | 1-0 | 2-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | 1-2 | 1-2 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | 3-0 | ■ | 1-6 | 0-2 | 0-2 | 1-1 | 3-1 | 1-3 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | 3-4 | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | 1-0 | 1-2 | 1-1 | 2-0 | 2-2 | 3-2 | 0-1 | 2-0 | 1-4 | 3-2 | 4-2 | 1-1 | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | 2-0 | 5-0 | 3-1 | ■ | 2-1 | 6-0 | 3-2 | 3-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | 0-0 | 6-3 | 1-1 |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | 3-1 | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 3-2 | 1-1 | 1-2 | 2-1 | 0-2 | 2-4 | 4-1 | 1-1 | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | 0-2 | ■ | 0-1 | 3-0 | 1-4 | 1-3 | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | 0-3 | 2-2 | 1-0 |
| 7 | SC FREIBURG | 2-1 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | 1-1 | 0-3 | 2-1 | 0-0 | 0-3 | 2-0 | 1-0 | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | 1-2 | 3-2 | 2-2 | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | 2-1 | 2-0 | 1-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 1-1 |
| 9 | HAMBURGER SV | 2-2 | 0-0 | 2-1 | 2-2 | 2-1 | 5-1 | 0-0 | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | 1-0 | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 2-0 | ■ | 3-0 | 1-1 | 0-1 | 0-3 | 2-0 | 1-2 | 3-3 | 2-1 |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | 3-0 | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 1-2 | 2-0 | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-1 | 0-2 | 0-0 | ■ | 1-0 | 1-1 | 2-2 | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 3-0 | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | 0-1 | 0-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-2 | 1-2 |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | 2-1 | 0-2 | 2-2 | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | 5-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | 2-1 | 0-2 | 0-1 | 0-3 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 3-2 | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | 2-0 | 1-3 | 1-2 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | 1-1 | 2-1 | 1-2 | 3-3 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | 2-0 | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | 0-1 | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | 2-3 | 3-0 | 1-1 | 2-0 | 3-1 | 0-1 | 2-3 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | 2-1 | 1-0 | 3-2 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | 1-2 | 2-2 | ■ |

### ფრენბურთი

## სენსაციით დაიწყო

დაიწყო მსოფლიო ლიგის პირველობა ფრენბურთში. გუნდები სამ ჯგუფში ასპარეზობენ. პირველ და მეორე ჯგუფში ოთხ-ოთხი გუნდია, მესამეში კი, სადაც რუსეთი გამოდის, სამი (ფრენბურთელებსაც გადაესხათ რუსი ფეხბურთელების ბედნიერი წყალი), რადგან ამერიკელებმა უარი თქვეს მონაწილეობაზე ტელეკომპანიებთან შეუთანხმებლობის საბაბით. თუმცა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ისინი ოლიმპიადისთვის ინდივიდუალური გეგმით ემზადებიან და ეს უარიც ამის გამო თქვეს. პირველ ტურებში სენსაცია მოხდა: პირველ ჯგუფში ესპანელებმა საერთაშორისო ტურნირების მუდმივი ფავორიტი ბრაზილია დაამარცხეს 3:2. მიუხედავად ამისა, ამ ჯგუფში, რომელშიც მათ გარდა კუბა და არგენტინა გამოდიან, ფავორიტებად მაინც ბრაზილიელები და კუბელები უნდა ჩაითვალნონ. მეორე ჯგუფში დაწინაურდნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები იტალიელები და ბულგარელები, თუმცა, ალბათ, აქ იტალიელების გარდა გასვლის შანსი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს ჰოლანდიას ექნება. რაც შეეხება მესამე ჯგუფს, ამერიკელთა უარმა ძალზე გაუადვილა საქმე რუსებს, იაპონელებსა და ჩინელებს შორის კი უპირატესობა მაინც იაპონელებს უნდა მიენიჭოთ. რუსები ჯერჯერობით უდანაკარგოდ ლიდერობენ.


ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი აწყობს ტურისტულ მოგზაურობას ქალაქ კიოლში.

ცნობებისათვის მიმართეთ: 95-40-03 ან 35-08-57



**იყიდება**

არასტანდარტული ბინა მე-8 სართულზე, გაგარინის მოედანთან. ფართი 120. ავტოფარეხით, სარდაფით, ტელეფონით. ფასი 42 000.

ტელ: 95-12-53. იკითხეთ თათია.


### კალათბურთი

NBA

ფლეი-ოფი

II წრე (4 მოგებამდე)

**ს.-ანტონიო—იუტა 2:4**

17 მაისი. სოლტ-ლეიკ-სიტი

იუტა ჯაზი — სან-ანტონიო სფურზი 108:81

იუტა: სტოქტონი (9), ჰორნაჩეკი (12), მორისი (9), მელოუნი (25), სპენსერი (2); ეისლი (7), კიფი (18), რასელი (15), კარი (4), ბენუა (7), ფოსტერი, ოსტერტაგი

სან-ანტონიო: ჯონსონი (9), დელ ნეგრო (17), ელიოტი (16), პერდიუ (6), რობინსონი (17); სმიტი (2), პერსონი (3); ერერა (2), ანდერსონი (1), ვილიამსი (2)

კონფერენციათა ფინალები

(4 მოგებამდე)

### აღმოსავლეთი

**ჩიკაგო — ორლანდო 2:0**

19 მაისი. ჩიკაგო

ჩიკაგო ბულზი — ორლანდო მეჯიქი 121:83

ჩიკაგო: ჰარპერი (8), ჯორდანი (21), პიპენი (18), როდმანი (13), ლონგლი (14); კუკოჩი (12), ვენინგტონი (6), ბრაუნი (2), კერი (14), სეილი (8), ბიუპლერი (5)

ორლანდო: ჰარდევეი (38), ანდერსონი (2), გრანტი, სკოტი, ონილი (27); შოუ (5), კონჩაკი, ბოუი (4), როიალი (4), თომფსონი (2), ვოლფი (1), ბონერი

20 მაისი. ჩიკაგო

ჩიკაგო ბულზი — ორლანდო მეჯიქი 93:88

ჩიკაგო: ჰარპერი (8), ჯორდანი (35), პიპენი (17), როდმანი (15), ლონგლი; კუკოჩი (6), ვენინგტონი (2), კერი (3), ბიუპლერი (5), ბრაუნი (2)

ორლანდო: ჰარდევეი (18), ანდერსონი (9), სკოტი (13), კონჩაკი (3), ონილი (36); შოუ (7), ბოვი (2), როიალი

დარჩენილი მატჩები: 25 და 27 მაისი — ორლანდოში. თუ საჭიროა: 29 მაისი — ჩიკაგო, 31 მაისი — ორლანდო, 2 ივნისი — ჩიკაგო

### დასავლეთი

**სიეტლი — იუტა 2:0**

18 მაისი. სიეტლი

სიეტლ სუპერსონიქსი — იუტა ჯაზი 102:72

სიეტლი: პეიტონი (21), ჰოკინსი (13), შრემპფი (14), კემფი (21), ჯონსონი (10); მაკმილანი (3), პერკინსი (13), ბრიკოვსკი (3), ესკიუ (2), შეფლერი, სნოუ (2), ვინგეიტი

იუტა: სტოქტონი (4), ჰორნაჩეკი (13), მორისი (7), მელოუნი (21), სპენსერი (6); ეისლი (3), კარი (3), კიფი, რასელი (6), ოსტერტაგი (6), ბენუა (3), ფოსტერი

20 მაისი. სიეტლი

სიეტლ სუპერსონიქსი — იუტა ჯაზი 91:87

სიეტლი: პეიტონი (18), ჰოკინსი (6), შრემპფი (17), კემფი (15), ჯონსონი (6); პერკინსი (15), მაკმილანი (9), ესკიუ (5), ვინგეიტი, ბრიკოვსკი

იუტა: სტოქტონი (11), ჰორნაჩეკი (22), მორისი (8), მელოუნი (32), სპენსერი; რასელი, კარი (10), ეისლი, ბენუა (4), კიფი, ოსტერტაგი

დარჩენილი მატჩები: 24 და 26 მაისი — სოლტ-ლეიკ-სიტიში. თუ საჭიროა: 28 მაისი — სიეტლი, 30 მაისი — სოლტ-ლეიკ-სიტი, 1 ივნისი — სიეტლი



ორლანდოს შაკილმაც ვერ უშველა

### ჭიდაობა

## ორი მეორე მინსკში

მინსკში დასრულდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრ მედვედის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში 23 ქვეყნის 207 ფალავანი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრებმა მინსკში ორკვირიანი შეკრება გაიარა და ტურნირშიც იასპარეზა. ჩვენებურთაგან მეორე ადგილები დაიკავეს ემზარ ბედინეიშვილმა (68) და ზაზა ტყეშელაშვილმა (100). წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: რუდიკ მარგარიანი (სომხეთი), ნამიგ აბდულაევი (აზერბაიჯანი), არან მარქარიანი (სომხეთი), ელბრუს თედეევი (უკრაინა), შემლი იუქსელი (თურქეთი), მაჰომედ გაჯიევი (აზერბაიჯანი), ელდარ ასანოვი (უკრაინა), ჯამბულათ თედეევი (უკრაინა), არავატ საპეევი (გერმანია), ალექსეი მედვედევი (ბელარუსი).


**სააგენტო „მინერვა“**

**მოგვმართეთ და თქვენს წინაშე ხელისგულივით გადაიშლება მთელი მსოფლიო.**

— მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე;

— ბილეთები ავია-რეისებზე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით;

— მყარი, შეუვალი გარანტიები და რაც მთავარია — მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ფასები.

**ყველაფერი ეს — ჩვენთან!**

მისამართი: კინოთეატრი „რუსთაველი“, ცენტრალური შესასვლელი.

ტელ: 93-22-53

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპაში ყველას კაცურად ვაჯობეთ!



ჰაგაში დასრულებულმა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატმა დიდი სიხარული მოგვიტანა ქართველებს. შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ ჩვენში ყველაზე უკეთ „სარბიელის" მკითხველი იყო ინფორმირებული. ახლა ცოტა სხვა ამბების შესახებაც, მაგრამ სანამ ამათზე გადავიდოდეთ, ჩემპიონატის სპორტულ მხარეს კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ.

### სამი ოქრო, პირველი და მეორე

შეგახსენებთ, რომ ქართველმა ძიუდოისტებმა ევროპის ჩემპიონატზე სამჯერ ააჟღერეს საქართველოს ჰიმნი. ეს დავით ხახალეიშვილმა, გიორგი რევაზიშვილმა და გიორგი ვაზაგაშვილმა შეძლეს. დიდი წარმატებაა უდავოდ, მაგრამ ახლა რომ დავფიქრდეთ, ჰოლანდიიდან მეტი მედლის წამოღება შეიძლებოდა. ამ დაკარგული მედლების შემთხვევაში ქართველებს ზოგან ბედმა გვიმუხლთა, ზოგან ჯანმრთელობამ და ზოგან მსაჯებმაც. ლადო დგებუაძეს ცოტა იღბალი რომ ჰქონოდა, მეორე წრეში ფრანგ გალიანოსთან არ მოუწევდა შეხვედრა. სწორედ გალიანოს ფრანგობაში იყო საქმე ყველაზე მეტად. მოგეხსენებათ, ევროპულ ძიუდოში ფრანგულ-ავსტრიული მაფია უძლიერესია და მათ მოჭიდავეს ნებისმიერ უცხოტომელთან შეხვედრაში გარანტირებული ფორა აქვს. ეს ფორა კი ის გახლდათ, რომ დგებუაძის ერთი გდება შეუმჩნეველი დარჩა, ხოლო ფრედ დამთავრებულ შეხვედრაში, ზოგადად, ფრანგისთვის გამარჯვების არმიკუთვნება ისევე არარეალურია, როგორც უახლოეს ათწლეულში საქართველოში ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება. ლადოს ფრანგი რომ დაემარცხებინა (რაც, ფაქტიურად, გააკეთა კიდეც), ოქრო თუ არა, სხვა სინჯის მედალს აუცილებლად ჩამოიტანდა.

მევლუდ ლობჟანიძეს რაც გაუკეთეს, ესეც მოგეხსენებათ. შეწყვეტილ შერკინებაში ჩატარებული გდება თუ ითვლებოდა, არაფრით გვეგონა, მაგრამ თურმე ასე ყოფილა. არადა, ის კაზუსი რომ არა, ლობჟანიძე მესამე ადგილისთვის შეხვედრაში რუს სერგეევს ხვდებოდა. კაცმა არ იცის, როგორ დასრულდებოდა ეს შეხვედრა, მაგრამ სერგეევი აშკარად ვერ იყო ჯანზე, ხოლო ჩვენი ფალავანი ალმავლობას განიცდიდა. სხვათა შორის, მევლუდი სამი წუთის განმავლობაში თვით პოლონელ პაველ ნასტულას უგებდა.

ალექსი დავითაშვილს საკუთარმა ნეკნმა დააკარგვინა ბრინჯაო, თორემ ბელგიელი ვან ბარნეველდი მისთვის პრობლემა არასდროს ყოფილა. სოსო ლიპარტელიანი კი გამძლეობამ დაალალატა, წონის უცებ დაკლებას თავისი მავნე შედეგი ყოველთვის მოაქვს და არც ის შემთხვევა იყო გამონაკლისი. გიორგი წმინდაშვილი ჯერ ახალგაზრდაა და ბევრი აქვს სასწავლი. ევროპის ჩემპიონატის გაკვეთილები მისთვის მეტად სასარგებლო იქნება.

კაცთა გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა. ვერცერთმა სხვა ქვეყანამ სამი კი არა, ორი ოქროც ვერ აიღო და ჩვენებურებს ახლოსაც ვერ გაეკარა. მაგრამ ძიუდოში ამ ბოლო დროს მავნე წესი დაინერგა. გუნდურ ჩათვლაში ანგარიშობენ როგორც კაცთა, ისე ქალთა შედეგებს და საბოლოო ჯამი გაერთიანებულად გამოაქვთ. ასეთი დათვლით მეორე ადგილზე გავედით და მხოლოდ ჰოლანდია გავუშვით წინ. ამათ კი კაცებში მხოლოდ ერთი ოქრო ჰქონდათ, სამაგიეროდ, ოთხი იქაური ქალი ჩემპიონი გახდა. ქალების ხარჯზე მოგებულ პირველობას რა ვუთხარი, მაგრამ წესი-წესია.

ქალთა ძიუდო, საერთოდ, კაცთას ყველა უფლებით გაუთანაბრდა. ოფიციალურ ტურნირებს (ევროპის, მსოფლიო ჩემპიონატები, ოლიმპიადა) თავი რომ დავანებოთ, უკვე „ა" და „ბ" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირებსაც ველარ გამართავ ქალების გარეშე. ჩვენი სპორტის ხელმძღვანელებს კახი ასათიანს და ჯანო ბაგრატიონს, აგრეთვე ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტს დილარ ხაბულიანს ჰოლანდიაში საუბრები ჰქონდათ ევროპის და მსოფლიოს ძიუდოს მმართველებთან თბილისის საერთაშორისო ტურნირის აღდგენის შესახებ. ამ საკითხზე სერიოზული დაბრკოლებები უცხოელთა მხრიდან არ იქნება. უბრალოდ, ერთი საკითხი ულტიმატუმივით დგას: თუ გნებავთ „ა" ან „ბ" კატეგორიის ტურნირის გამართვა, კაცების შეჯიბრებასთან ერთად აუცილებლად უნდა გაიმართოს ქალების ასპარეზობაცო.

### „ეს ჩვენი პრობლემა არ არის"

ამ ფრაზით ასრულებდნენ თითქმის ყველა საუბარს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები. მართლაც წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ჰქონოდა ჰოლანდიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატს ამგვარი საშინელი ორგანიზაცია. ჩვენს მაგალითზე ვთქვათ. საქართველოს დელეგაციამ ჩასვლის ღამეს დაიკავა მისთვის განკუთვნილი, წინასწარ დაჯავშნული ადგილები. მეორე დილას, საორგანიზაციო კომიტეტმა ერთი ოთახის დაცლა მოითხოვა — აქაოდა, ამდენი არ შეგიკვეთიათო. როცა ფაქსები და წერილები უჩვენეს, რომელთა მიხედვითაც ჩვენი მხარე მართალი იყო, მასპინძლებმა მხრები აიჩეჩეს და ქვესათაურში გატანილი ფრაზა წარმოთქვეს.

შემდეგ იყო სასტუმროს ფულის გადახდა. მასპინძლებმა ანგარიში წარმოადგინეს და ჩვენებიც ის-ის იყო იხდიდნენ, როცა დელეგაციის ხელმძღვანელმა ვალერი ჩოლარიამ ყველაფერი ახლიდან გადათვალა. აღმოჩნდა, რომ ორგკომიტეტი ორი ათასი დოლარით მეტს გვახდევინებდა. ამის დაჯერება დიდხანს არ სურდათ, მაგრამ როცა ჩვენებმა ხელახლა აანგარიშებინეს თანხა, გაირკვა, რომ მართლები ვიყავით. გამოწერეს ახალი ჩეკი, სადაც ... 150 დოლარს კიდევ ზედმეტს გვახდევინებდნენ. არც ეს ფული შერჩათ.

ახლა რა სასტუმროზე იყო ლაპარაკი. ჩემპიონატის ოფიციალური ოტელი „ბელ აირი" ოთხვარსკვლავიანი გახლდათ, მაგრამ კომისია ორ ვარსკვლავს ულაპარაკოდ ჩამოაჭრიდა. ორადგილიან ნომრებში, სადაც ხეირიანად ვერც გაივლიდი, დამატებით ერთი „ლეჟანკაც" ჩაედგათ და ამაში ორგკომიტეტი ჩემპიონატის სტუმრებს ტყავს აძრობდა. ზოგიერთმა ქვეყანამ ვერ დაფარა საცხოვრებლისთვის აუცილებელი თანხა და ჰაგის გარეუბანში მდებარე სასტუმროებში გადავიდა (თავად ჰააგაში სასტუმროს პოვნა ზღაპარი იყო, რადგან იქაურ საერთაშორისო სასამართლოში სერბების საქმე ირჩევა და მთელი მსოფლიო იქაურობას მიმწყდარია).

ჩემპიონატზე მუშაობდა სატრანსპორტო სამსახური, მაგრამ ვისთვის, გაუგებარი იყო. ჩვენმა გუნდმა ვარჯიშზე წასასვლელად ორჯერ შეუკვეთა ავტობუსი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ყური არავინ შეიბერტყა. გვეგონა წამოსვლის დღეს მაინც მოგვემსახურებოდა კუთვნილი ტრანსპორტი, მაგრამ სადგურში წასვლამ ტაქსებით მოგვიწია. დავადგინეთ, რომ მარტო ჩვენ არ ვიყავით ასეთ დღეში — უკრაინა, იტალია, ინგლისი და რუსეთი ტყუილად ელოდნენ სანუკვარ ავტობუსებს, ხოლო იუგოსლავიამ და მალტამ მათ ლოდინში არაერთი საათი გაატარეს ცალკე აეროპორტში, ცალკე — სასტუმროს ჰოლში.

### „არსენიჩის" ხაშლამა

„არსენიჩი" საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ მარტყოფლიშვილია. გამიგონია, შეჯიბრებებზე არსენიჩი ძირითად საქმიანობასთან ერთად კულინარობითაც არის დაკავებულიო. ახლა კი ამაში თვად დავრწმუნდი. ძიუდოისტს წონის დაკლებისას განსაკუთრებული კვება სჭირდება, ხოლო ასეთ დროს ხაშლამა და მისი წვენი პირდაპირ მისწრებაა. ჰოდა, არსენიჩიც დილიდანვე ჩამოივლიდა მაღაზიებს, იყიდდა ხორცს, მწვანილს, ყველაფერ დანარჩენს. საქმიანობას შეუდგებოდა და ბიჭებიც მოუთმენლად ელოდნენ კერძს. ყველა იძახდა — თუ არსენიჩის ხაშლამას და ბულიონს არ შევჭამთ, ვერ ვიჭიდავებთო.

სხვათა შორის, ნომერში სადილის მომზადება მარტო ქართველების ახირება როდია. ჩვენს სართულზე ცხოვრობდნენ პოლონელები, რომლებსაც ამ საქმისთვის საგანგებოდ მზარეული ჰყავდათ ჩამოყვანილი. ყოველდღე ესპანელებიც ხარშავდნენ წვნიანს, მაგრამ მათი ოთახიდან იმისთანა „არომატი" გამოდიოდა, კაცს თავი ნაგავსაყრელზე ეგონებოდა.

### ქართველები უცხოეთში

სამმა ქართველმა მოჭიდავემ სხვა ქვეყნის ნაკრებში იასპარეზა. თურქეთისაში — ირაკლი უზნაძემ, უკრაინისაში — რამაზ ჩოჩიშვილმა და ილია ჩიმჩიურმა. სამივე მეტად სიმპატიური, ზრდილი და ვაჟკაცი ბიჭია. ჩვენს მოჭიდავეებს გვერდიდან არ შორდებოდნენ და მათ წარმატებას თუ წარუმატებლობას საკუთარივით იზიარებდნენ.

უზნაძე მსაჯებმა დაჩაგრეს, თორემ ფინალში გასული იყო. დიდი შოთა ჩოჩიშვილის ვაჟმა რამაზმა აბსოლუტური კატეგორიის ნახევარფინალში ბდღვირი ადინა თურქ თათაროღლუს, უგებდა კიდეც, მაგრამ შებოჭვაზე მოყვა და 105 კილოგრამიანი ბიჭი 160 კილოგრამიან გოლიათს ველარ გაექცა. სამაგიეროდ, რამაზმა შესანიშნავად იჭიდავა მესამე ადგილისთვის და ბრინჯაო მოიპოვა.

მესამე ადგილზე გავიდა ილია ჩიმჩიურიც. სხვათა შორის, ამ გორელი ფალავნის ყველაზე დიდი გულშემატკივარი ჩვენი გიორგი ვაზაგაშვილი იყო. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში გია გამუდმებით კარნახობდა ჩიმჩიურს და ამ დარიგებებმა დიდად შეუწყო ხელი ილიას ბრინჯაოს მოპოვებაში.

### გიორგი და გიორგი

ევროპის ჩემპიონები — გიორგი ვაზაგაშვილი, გიორგი რევაზიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი ერთმანეთის მოპირდაპირე ნომრებში ვცხოვრობდით. გაოცებული ვარ, რამდენის გადატანა შეძლო ამ ორმა პატარა ბიჭმა. თითოეული მათგანი 5-5 კილოგრამს იკლებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ თითქმის არ უნდა ჭამო, სითხე არ უნდა მიიღო და დღეში ერთხელ მაინც კარგად უნდა ივარჯიშო. ბოლო დღეებში მათ რომ ვუყურებდი, ვფიქრობდი, რად გვინდა მედლები, თუკი ბიჭები გადაყვებიან-მეთქი. მოჭიდავეები კი სხვაგვარად ფიქრობდნენ. ერთი არ დაუწუწუნიათ წონის დაკლების გამო. ხანდახან ვაზაგაშვილი თუ იტყოდა, ერთი დედაჩემის მომზადებული სადილი მაჭამაო, ხოლო რევაზიშვილის თავისი სოფლის წყაროს წყალი და გახსნილი კოკა-კოლა ელანდებოდა. ვაზაგაშვილი დროს წიგნის კითხვაში კლავდა (ჰოლანდიაში ყოფნისას სამი დეტექტივი წაიკითხა), ხოლო რევაზიშვილი მოსალოდნელ შერკინებებს წინასწარ „ატრიალებდა" და ხმამაღალ კომენტარს უკეთებდა. ყოველ მეტოქეზე ამბობდა, ნეტავ ამასთან მომაგებინა და მეტი არაფერი მინდაო. ამ „ნეტავ, ნეტავის" ძახილში კი ევროპის ჩემპიონიც გახდა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ორივე გიორგიმ ორლიტრიანი კოკა-კოლა დაიდგა და განცხრომას მიეცა.

### დიდი დათო

დავით ხახალეიშვილი ყველაფრით დიდია — გაბარიტებითაც, ბუნებითაც და როგორც სპორტსმენი. მას დიდ პატივს სცემენ ნებისმიერი ქვეყნის მოჭიდავეებიც და მწვრთნელებიც. ადამიანებს შორის მთავარი ურთიერთობაა — ამბობდა დათო და უსალმოდ და მოუკითხავად არავის სტოვებდა. მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, ძიუდოისტი სახელგანთქმული იყო თუ არა, მისი პირადი მეტოქე თუ სხვა წონის წარმომადგენელი. როცა სხვა ძიუდოისტები (ხახალეიშვილის ნახევარიც რომ არ არიან და ცხოვრებაში ერთხელ დაკავებული მესამე ადგილით მოაქვთ თავი) ცხვირაწეულნი და გაბღენძილნი დადიოდნენ, ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი, 140 კილოგრამიანი მთა-კაცი ყველაფერს წყნარად და მორიდებულად აკეთებდა. ევროპის ჩემპიონი რომ გახდა, როგორ გგონიათ, რა ქნა (სხვა წონებში იმ დღეს გამარჯვებულებმა, ნასტულას გარდა, ლამის იყო თავზე დაიმხეს მთელი სასტუმრო)? სასტუმროში წავიდა, მეორე დღეს საჭიდაოდ გამსვლელი ჩვენს ბიჭებს დაუჯდა — ზოგი დაარიგა, ზოგს ხასიათის გამოსაკეთებლად გაეხუმრა, ზოგს რჩევა მისცა და შემდეგ კი თითქოს არაფერი მომხდარიყოს, დასაძინებლად წავიდა.

### უცხოელი ძიუდოისტები

ერთ დილას სასტუმროს წინ ვდგევართ და ვიღაც ახოვანი კაცი ურიკას მოაგორებს. ჩვენი გუნდის ექიმს ირაკლი ბიბილეიშვილს ვუთხარი, ეს კაცი ნეტავ რატომ მეცნობა-მეთქი? იმიტომ გეცნობა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი, ფრანგი ანჯელო პარიზიაო. პარიზის კიმანოების სამკერვალო ფირმა ჰქონია და ჩემპიონატზე თავის ნაწარმის გამოფენა მოაწყო. ურიკის გორება გათვლილი სარეკლამო ნაბიჯი იყო — სად ჩვეულებრივი და სად თვით ოლიმპიური ჩემპიონის ხელით მოტანილი კიმანოს შეძენა!

მოქმედი ძიუდოისტებიც სხვაგვარად იქცეოდნენ. ვთქვათ, იგივე ნასტულა. კაცს სამი წელიწადია შერკინება არ წაუგია, მსოფლიოს ძიუდოს ლიდერია, მაგრამ ისე იქცევა, გეგონება დიპლომატიური აკადემია აქვს დამთავრებულიო. პირიდან ღიმილი არ მოუშორებია, ყველაფერზე „მადლობას" და „ბოდიშს" იხდიდა და მის ხმამაღალ სიტყვასაც ვერ გაიგონებდი. შეჯიბრების შემდეგ პაველი ბარში შემოვიდა და თავს უფლება მისცა, რამდენიმე კათხა ლუდი შეესვა. არც მაშინ დაუწყია ყოყოჩობა, მალე წამოდგა, ყველას დაგვემშვიდობა და წავიდა.

სამაგიეროდ, ჯამალ ბურას და ლარბი ბენბოდაუდს პარიზში მცხოვრებლებისა არაფერი ეტყობოდათ. ჯერ იმნაირი ფერი ტანსაცმელი ეცვათ, ჩვენში ბოლო გოიმიც რომ არ იკადრებს. ორი ჭიქა დალიეს და მთლად ჭკუა დაკარგეს — ყვიროდნენ, იფურთხებოდნენ და ბოლოს კიბეებზე კინაღამ კისერი მოიტეხეს.

ავსტრიელი პატრიკ როიტერი კი დიდი ხურუშიანი ვინმე ყოფილა. შეჯიბრების შემდეგ გალეწილი მთვრალი სასტუმროს ჰოლში შემოვიდა, თან, აქეთ-იქიდან ორი ქალი მოყავდა. ამ ქალებმა, ლამის იყო, გააშიშვლეს როიტერი. ამან კი, უცბად მესამე ქალი დაინახა — იტალიელი ძიუდოისტი. მიატოვა ის ორი, იმ ახალთან გადავიდა და ლამის იყო, ჰოლშივე გააუპატიურა.

ჩრჩენი მოჭიდავეები — სამი თურქეთის ნაკრებიდან, ერთი — რუსეთიდან, სულ ერთად, ჯგუფად დადიოდნენ და მუდამ დაბღვერილნი იყვნენ. სხვებისთვის კი არა, სიტყვას ერთმანეთისთვისაც არ იმეტებდნენ. მერე დასხდებოდნენ, ხუთი წუთით თვალებს დააბრიალებდნენ და ნომრებში მიდიოდნენ. ერთ-ერთი ასეთი „ვოიაჟის" დროს მათ წინ ჩვენი გიორგი რევაზიშვილი გადაუდგა და უთხრა — ნუ იბრიქებით, ჩემთან მაინც არაფერი გამოგივათო. ასეც მოხდა — თურქი დემირელი გიორგიმ წმინდად დაახეთქა, ხოლო რუს მაციევთან შეხვედრას ნატრობდა, მაგრამ ამან ნახევარფინალში წააგო და რევაზიშვილს ასცდა.

ინგლისელებს დანი კინგსტონს და ნაიჯელ დონაჰიუს ბანქო ნამეტანი უყვართ. მთელი დღე ისხდნენ და რაღაც „ხეკას" მსგავსს თამაშობდნენ, თან მთელი ბრიტანეთის ნაკრები თავს ეხვიათ. კინგსტონი ჩემპიონი გახდა, ხოლო დონაჰიუს კარტის ჩაწყობას ვაზაგაშვილის წინააღმდეგ რამის მოფიქრება ერჩია.

### მსაჯობა

თუ ძიუდოსტთა ჩემპიონატს თავისუფალ და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ჩემპიონატს შევადარებთ, ძიუდოს მსაჯები უცოდველ კრავებად მოგვეჩვენებიან. რა თქმა უნდა, ჰააგაშიც იყო მიკერძოებული მსაჯობა (ბოლოსდაბოლოს, ქართველებმაც გამოვცადეთ ეს), მაგრამ ბუდაპეშტის ქარვასლასთან ეს რა მოსატანია. ტურნირზე ქართველებსაც გვყავდა ერთი მსაჯი — დუშელი მერაბ ლოსეურაშვილი. მან კარგად იმსაჯა, ერთხელ ფინალის განსჯაც კი ანდეს. 37 მსაჯიდან უმაღლესი შეფასება „1" მხოლოდ გერმანელმა არბიტრმა დაიმსახურა. ლოსეურაშვილს „2" დაუწერეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველ არბიტრს მომავალი ერთი წლის მანძილზე უფლება ექნება იმსაჯოს ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრებები.

მერაბ რატიშვილი

ჰააგა-თბილისი

**ჩემპიონატის პრიზიორები**

**კაცები**

**71 კგ.** 1. დანი კინგსტონი (ბრიტანეთი), 2. თომას შლაიშერი (ავსტრია), 3. კრისტოფ გალიანო (საფრანგეთი) და ილია ჩიმჩიური (უკრაინა).

**65 კგ.** 1. გიორგი რევაზიშვილი (საქართველო), 2. ჯულიან დევისი (ბრიტანეთი), 3. პეტერ შლატერი (გერმანია) და ლარბი ბენბოდაუდი (საფრანგეთი).

**60 კგ.** 1. გიორგი ვაზაგაშვილი (საქართველო), 2. ნაიჯელ დონაჰიუ (ბრიტანეთი), 3. ჯიროლამო ჯოვინეცო (იტალია) და ფრანკ შამბიი (საფრანგეთი).

**აბსოლუტური.** 1. ინდრეკ პერტელსონი (ესტონეთი), 2. სელიმ თათაროღლუ (თურქეთი), 3. რამაზ ჩოჩიშვილი (უკრაინა) და პარი ვან ბარნეველდი (ბელგია).

**ქალები**

**56 კგ.** 1. ჯესიკა გალი (ჰოლანდია), 2. მარია პეკლი (უნგრეთი), 3. მაგალი ბატო (საფრანგეთი) და იზაბელ ფერნანდესი (ესპანეთი).

**52 კგ.** 1. შარონ რენდლი (ბრიტანეთი), 2. ალესანდრა ჯუნჯი (იტალია), 3. მარი რესტუ (საფრანგეთი) და ნიკოლა ფლაგოთიე (ბელგია).

**48 კგ.** 1. იოლანდა სოლერი (ესპანეთი), 2. ანა პერლბერგი (გერმანია), 3. ჯოვანა ტორტორა (იტალია) და ლაურა მოისე (რუმინეთი).

**აბსოლუტური.** 1. მონიკ ვან დერ ლეე (ჰოლანდია), 2. დიანა ბურგატი (იტალია), 3. ირინა როდინა (რუსეთი) და სიმონ რიხტერი (რუმინეთი).

# დაივიწყეთ ESPN!

ცნობილი ნოვატორი, ბიზნესმენი, ქველმოქმედი და უცხო ხილთა ტრფიალი

## ყაფლან ჯანდიერი

ელექტრონული ფოსტით კვლავ შეგვეხმიანა ყარაჩიდან.

აი, მისი ბოლო „მესიჯიც“ (ცნობაც):

ერთი თვეა, უცხო ხილები არ მიმომიხილავს „სარბიელის“ მკითხველისათვის.

მიზეზები ასეთი იყო: ერთი, რომ საქმეზედ დარვინს (ავსტრალიის ჩრდილოეთი ტერიტორია) გახლდით; მეორეც, მუდმივი კონტაქტი მქონდა თბილისის მკვიდრ თენგიზა არტამონოვთან და ვიცოდი, საკაბელო Ayety TV-ის წყალობით ESPNet-ს რომ ჭვრეტდით, ეს არხი კი უჩემოდაც გაჭედილია კრიკეტით, გოლფით, ბალახის ჰოკეითა და დედაკაცთა რკენით.

მაგრამ გასთენებია თენგიზას 15 მაისი და საყვარელი ESPN გამქრალა. მის მაგივრად Ayety-ის ხალხს ერთი დღის შემდეგ გერმანული „პრო-ზიბენი“ ჩაურთავს.

არტამონოვმა სასწრაფოდ მიელქტრო-ფოსტა ყარაჩში, საქმეში ჩახედული კაცი ხარ და არც გავლენა გაკლია; თუ ძმა ხარ, გაგვიგე, ეს რა მეხი გავარდნილა ჩვენს თავზეო.

მეც ერთ საათში მოვწერე, დაივიწყე ის ულრუბლო დღეები, ESPN-ით რომ ტკბებოდი-მეთქი, მერე კი ავუხსენი, როგორც იყო საქმე.

## იყიდება

თეთრი, გამჭვირვალე ორგანული მინა

125 სმ X 74 სმ

ტელ.: 95 22 56 (საღამოს)

ESPN ამერიკული საერთაშორისო სპორტული არხია და აქამდე ოთხ ვერსიად გადაიცემოდა: ორი წმინდა აშშ-ური იყო და სულ კეტბურთსა და როდეოს აჩვენებდა, მესამე მოიცავდა ლათინურ ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთს, მეოთხე კი — ავსტრალიასა და წყნარი ოკეანის მონაპირე აზიურ ქვეყნებს.

შარშან ნოემბრიდან ამ ბოლო ვერსიას პინდუსტანისთვის მცირე ვარიაცია დაურთეს — კრიკეტები და რამე-რუმეები ჩაურთეს ოდენ დღის საათებში და საკენკად დაუყარეს მაგ რეგიონს ნახევარი წლით. 15 მაისს სწორედ რომ ეგ ვადა ამოიწურა.

რა იცოდნენ ESPN-ელებმა, რომ მაქაური — თბილისელი მესატელიტეები მაგარი ბიჭები არიან და კოსმოსისკენ მზირალი თეფშებით ხან რას გააჩალიჩებენ და ხანაც რას. ჰოდა, ჩემო თენგიზ, უდენო ნოემბერში ალალბედზე რომ დაიჭირეს მუქთი სპორტული არხი, ინგლისის პრემიერ-ლიგას, ბრაზილიის ჩემპიონატს, ევროპის საფეხბურთო მიმოხილვას და მისთანებს რომ აჩვენებდა, უთუოდ იფიქრეს, ავშენებულვართო.

თბილისელი ფეხბურთის ქომაგებიც ხომ სულ ვარიები გამოდგნენ: მაგრად აკენკეს, ყველამ სასწრაფოდ დაიყენა Ayety, აქაოდა ჩვენი გიოს „მატაობას“ გაყყურებინებსო. მერე და მერე, შენც იცი, „სითი“ გავარდა, „ბალეშჩიკობა“ კი დაიბოლმა, მაგ კრიკეტით რა წაილეს ტვინიო!

ხალხი შემოდგომასა და ახალ სეზონს ელის. ეგების, იმედიც აქვს, რომ Ayety კვლავ ჩაურთავს ESPN-ს. სულ ტყუილად! გეყურებინათ მანდა ყურადღებით ერთი და იმავე ტიპის რეკლამისათვის და ყველაფერი ცხადი იქნებოდა.

ჯერ გიჩვენებდნენ დინჯ ბურთაობას ან ჩილკა-ჯოხობას და იტყოდნენ, You are ready for this-ო (ამისთვის მზადა ხართო). მერე ატყდებოდა ორომტრიალი — გადიოდა გოლები და ილეწებოდა ბჭეები, დიქტორი კი დაილრიალებდა, But are you ready for this? (ამისთვის თულა ხართ მზადო). ბოლოს დაიწერებოდა 15 მაისი და შეგახსენებდნენ, მაგ დღეს გათავდება ESPN-ის მუქთად ყურება, ხოლო ვისაც იმ გოლებისა და ლეწვის ჭვრეტა გსურთ, დაგვირეკეთ, ფული გადაგვიხადეთ, ჩვენ კი დეკოდერს დაგიდგამთო.

ვიცი, მანდ, საქართველოში ყველაფერი მუქთი გსურთ და არც ფულის გადახდა გიყვართ. ასეც რომ არ იყოს, დელში, მადრასში, კალკუტაში ანაც ბანგალორში დამრეკი, რალაც არა მგონია, რომ ვინმე გამოგიჩნდეთ.

რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო! ჰოდა, ძმებო, უცქირეთ ეხლა მაგ ო-ერ-ტეს, ერ-ტე-ერს, ენ-ტევეს, ემ-თი-ვის და კიდევ „ევროსპორტს“ — ისიამოვნეთ ტრაქტორკომბაინების რბოლებით!



ყაფლან ჯანდიერი

Qaflan@KhuzlBab.co.pk

# საერთაშორისო რაგბი



# „ბანანის ბიჭები“ საპალნეს შესჭიდებიან

ხვალ ოქლენდის „იდენ პარკზე“ ისეთი მატჩია, რომ 45 ათასივე ბილეთი ბაზარზე გამოტანიდან 24 საათის განმავლობაში გასაღდა. პროფესიული რაგბის პირველი დიდი შეჯიბრის — „ზე-12-ის პირველობის“ ფინალში ოქლენდის „ლურჯები“ ნატალის „ბანანის ბიჭებს“ უმასპინძლებენ.

ფავორიტი ოქლენდია, ვინაიდან ჯონა ლომუ ჰყავს და თან შინ თამაშობს. არც ნატალის ამთავითვე ჩამოწერა ეგების: მართალია, აფრიკელებმა წრიული ტურნირის ბოლო ორი მატჩი შინ წააგეს (ქვინზლენდთან და ოქლენდთან) და მეოთხე ადგილზე დარჩნენ, მაგრამ ნახევარფინალში სენსაცია გააგორეს — სტუმრად აჯობეს ქვინზლენდს, წინა ორი წლის ჩემპიონი, წრიული ტურნირის გამარჯვებული და შინ უძლეველი რომ იყო.

პირველი ნახევარფინალი
შაბათი, 18.V. ბრისბენი, ბალიმორი

**ქვინზლენდი 25-43 ნატალი**

ქვინზლენდი (ავსტრალია) — პლ: 12 პორანი, 2 ფოული, საჯარიმო; 2გ, 2ს: 5 ილზი

ნატალი (სამხრეთი აფრიკა) — 7ლ: 11 კ. ფანდერვესტჰოიზენი (3), 15 ა. ჟუბერი (2), 6 ფანპირდენი, 12 თომსონი; 4გ: 10 ჰონიბალი (2), ა. ჟუბერი (2)

ქვინზლენდი აჭრილი შეხვდა თამაშს: მხარი მეორედ ილრძო და სეზონის ბოლომდე გავარდა დამიენ სმითი (14), ხოლო ცხვირი და ლავინი გაიტეხა და თვენახევრით გამოეთხოვა რაგბს ჯეისონ ლითლი (13). გარდა ამისა, კაპიტანმა თიმ ჰორანმა ყურად ილო ნაკრების ახალი მწვრთნელის — გრეგ სმითის გაფრთხილება, თუ ქვინზლენდში მცველად თამაშს თავს არ ანებებ, „ვოლაბებში“ შუამარბად როგორლა დაგაყენოო, და ნებით ჩაიცვა 12 ნომერი კვართი.

ნატალს არაფერი უჭირდა, მაგრამ მისმა ბრძენმა მოძღვარმა იენ მაკინტოშმა მარცხენა გარემარბად ანდრე ჟუბერის ნორჩი ბიძაშვილის — ჟუსის ნაცვლად მაინც აირჩია დალალებიანი ვეტერანი, 30 წლის კაბუს ფანდერვესტჰოიზენი (ფოტოზე, მარცხნიდან მეოთხე), ვისაც ლელოს გატანის საოცარი ნიჭი აქვს — ნატალის 94 მატჩში თავი 63-ჯერ გამოუჩენია.

ქვინზლენდი ილზის საჯარიმოთი პირველსავე წუთზე დაწინაურდა, მაგრამ მერე სტუმრებს ყველაფერში ჩამორჩა. მისმა უკანა ხაზმა ერთობ სუსტად ითამაშა და ლელოს გატანის შანსი ფაქტობრივად არც მისცემია.

მაკინტოშს არჩევანმა გაუმართლა — კაბუსმა სამი ლელო გაიტანა, თანაც სამივე მას შემდეგ, რაც ბურთი ფეხით ლელოსკენ გაუგორეს. გადასარევად ითამაშეს ექს-ზელანდიელმა ქევინ პათმა (9), ჯეიმზ სმოლმა (14) და ჟუბერმა. ამან ბოლოს დამრტყმელობაც კი გადაიბარა.

ნატალი ერთი პირობა 22:3 იგებდა, მაგრამ 50-ე წუთზე ანგარიში უკვე 18:29 იყო: მასპინძლები მეტოქის ლელოს მიაწყდნენ, ბურთი გაათამაშ-გამოათამაშეს, მაგრამ მეტოქის დაცვა ვერაფრით გაარღვიეს, თუმცა ზელანდიელმა მსაჯმა ობრაიენმა სმოლი თამაშგარე დარჩენისათვის საჯარიმო ლელოთი დასაჯა.

ყველაფერი გადაწყდა 68-ე წუთზე, როცა ავსტრალიელთა მცველმა მანდრუსიაკმა ალლო ვერ აუღო პათის აბრაგანს და ფანდერვესტჰოიზენმა ლელო კარს უკან გაიტანა.

მეორე ნახევარფინალი
კვირა, 19.V. ოქლენდი, იდენ პარკი

**ოქლენდი 48-11 ჩრდ. ტრანსვ.**

ოქლენდი (ახალი ზელანდია) — 8ლ: 11 ლომუ (2), 2 ფითსპატრიქი, 15 ქეშმორი, 12 ნგაუამო, 4 რ. ბრუქი, 9 ტონუუ, 14 ვიდირი; 4გ: ქეშმორი

ჩრდ. ტრანსვაალი (სამხ. აფრიკა) — ლ: 12 ბრაიტენბახი; 2ს: 10 კრუგერი

თამაშს დიდი აყიოტაჟი უძლოდა. მასპინძელ ოქლენდს უნდა აერჩია შეხვედრის დღე — შაბათი ან კვირა. ზელანდიელებმა, აქაოდა მეტი დავისვენოთო, თავიდან კვირას გადაწყვიტეს თამაში, მაგრამ მერელა გაახსენდათ, რომ ამ შემთხვევაში მოისაკლისებდნენ დიდ 6 ნომერ მაიქლ ჯოუნზს, რელიგიური მოსაზრებების გამო უქმეზე რომ არ თამაშობს.

ოქლენდმა სიდნეიში მოქმედ ორგკომიტეტს თამაშის შაბათს გადატანა სთხოვა. იქიდან უარი სტკიცეს: სტუმარი გუნდი ისე მოფრინავს, რომ ფორმაში კვირისთვის იყვეს; თანაც, ტელე-პროგრამა უკვე შედგენილიაო.

ოქლენდს დაშავებული 10 ნომრის — კარლოს სპენსერის საკითხიც აწუხებდა და ორიგინალური გამოსავალი მონახა: თვალი დაადგა ნაკრებისა და ქენთებრის წევრ ენდრიუ მერთენსს, ვისაც ტრავმის გამო სეზონის პირველი ნახევარი გაუცდა და ზე-12-ში არ უთამაშია. ორგკომიტეტმა მერთენსს თამაშის ნება დართო, მაგრამ თავად ამან ვერ გაბედა, აქაოდა ფორმაში ვერა ვარო.

ფორმაში ვერა ხარო, ლომუსაც უკიჟინებდნენ იმის იმედად, ვინძლო მთაკაცი გავახელოთო. სპენსერის ნაცვლად ბოლოსდაბოლოს ათამაშეს ლიი სთენსნესი, შერკინების ფრთაზე ჯოუნზის ადგილი კი ერგო 24 წლის სამოელ დილან მიკას, ვინაც მის ქვეყანას იმიტომ არ უთამაშებია შარშანდელ მსოფლიო თასზე, რომ სცოდნია, დიაბეტი სჭირსო (!?)

აკრიტიკებდნენ პრეტორიელ სტუმრებსაც, ზე-ძალისმიერ, პრაგმატულ, ათკაცა რაგბსა თამაშობენო. ამაზე აფრიკელთა მწვრთნელი, პროფესორი ჯონ ვილიამზი პასუხობდა, შეხედეთ ცხრილს და მერე მელაპარაკეთ — ჩემი გუნდი ნახევარფინალშია, სხვისა კი არაო!

ვილიამზმა კატა-თაგვობანა გაუმართა ოქლენდელ კოლეგა გრემ ჰერნის: კვირაში შვიდი პარასკევისა არ იყოს, მსოფლიოს საუკეთესო 9 ნომერ იუსტ ფანდერვესტჰოიზენს ხან ჩვეულ ადგილზე ასახელებდა შემადგენლობაში, ხანაც მარჯვენა ფრთაზე, რათა იუსტს ისე უვნებელეყო ლომუ, მსოფლიო თასის ფინალში რომ ჰქნა.

ამგვარი გზა-კვალის აბნევა ზედ პირველ სასტვენამდე გაგრძელდა: ფანდერვესტჰოიზენი, ვინაც შუა კვირაში ერთობ გაეტანჯა მუცლის სალმობას, სათამაშოდ მაინც 14 ნომერი კვართით გავიდა, მაგრამ მერე და მერე ტრავმებმა და შეცვლებმა სულ მთლად რომ არია სტუმართა ისედაც შეკოწიწებული და გამოუცდელი უკანა ხაზი, 9 ნომრად დადგა.

თამაშის შემდეგ ჰერნიც და ოქლენდის კაპიტანი ზინზან ბრუქიც (8) გამოტყდნენ, იუსტი ლომუს რომ დაუდგა, შევება ვიგრძენით, რაკილა შერკინების მიდამოებში ველარ დაგვაწიოკებდაო.

ოქლენდმა ერთობ ლალად იბურთავა. მათი 10 ნომერი ფეხს არა ხმარობდა და შეტევის შანსს უწინდებურად ალარ ანიავებდა. მასპინძლებმა სტუმართა ბობოლა მორკინალებსაც აჯობეს. რობინ ბრუქმა დერეფანში დაჯაბნა მეტოქე. მეორე ნახევარში ლომუმაც აიწყვიტა, მაგრამ მაინც ვერ დაჩრდილა იქეთა ფრთა — ფიჯელი ჯოელი ვიდირი, ვინაც მეტოქის ლელოში სამჯერ შეიჭრა, ლელო კი ერთადერთხელ გაიტანა: ერთ ჯერზე ავსტრალიელმა მსაჯმა ერიქსონმა განსაჯა, ვიდირი კიდეზე გადავიდაო, მეორედ კი ფიჯელმა მეტოქეები შვიდკაცას ყაიდაზე გააპამპულა: ლელოში შეყოვნდა, მერე კი მიმხდურ აფრიკელებს ბურთი თავზე გადაუგდო და ბრუქს ლელო კარსუკან გაატანინა.

ბურებმა ბოლომდე იომეს, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს. სულ ბოლოს ფანდერვესტჰოიზენმაც ჩაისვარა: თავის ლელოსთან შერკინებიდან რომ აილო ბურთი, პირდაპირ ოფისა ტონუუს გაატანა.



მართლმორწმუნე ჯოუნზი ფინალს უთუოდ ითამაშებს



მსაჯის შეურაცხყოფა, აბა, ვის შერჩენია და „ლესთერისა“ და ინგლისის ფრთის მორკინალი და ცნობილი მეშვიდკაცე ნილ ბექი გამონაკლისი რად იქნებოდა — 6-თვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, რის გამოც გაუცდება როგორც ზაფხულის არდადეგების ტურნე, ასევე ახალი სეზონის საწყისი ათი კვირა.

ბექმა თავი შეირცხვინა 4 მაისს, თვიქნემში, ინგლისის თასის ფინალის მიწურულს. მისი „ლესთერი“ კი უგებდა „ბასს“, მაგრამ თავს ლაჩრულად იცავდა — ზედიზედ რჩებოდა თამაშგარეთ, რისთვისაც მსაჯმა ბოლოსდაბოლოს საჯარიმო ლელოთი დასაჯა და თამაშიც „ბასმა“ მოიგო.

ბექი მსაჯს დაეჯახა და ძირს დასცა, მერე თავიც იმართლა, უნებლიედ მომივიდა, მსაჯი მეტოქეში ამერიაო, მაგრამ რაგბის მამები არ მოტყუვდნენ და უფრო მკაცრადაც დასჯიდნენ მორაგბეს, წესიერ კაცად რომ არ სცნობოდათ და ამას მერე და მერე მსაჯისთვის არ მოებოდიშებინა.

## ახალი წესების მავნე გავლენა

სამშაბათს, 21 მაისს, საქართველოშიც ამოქმედდა ის ახალი წესები, ზე-12-ში რომ გამოიყენება. ვაკეში შეიბნენ „გუმარი“ და ქვეყნის სტუდენტური ნაკრები, სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო თასზე რომ უნდა იასპარეზოს. თამაში ისე აყალ-მაყალიანი გამოდგა, რომ სამჯერ გაიმართა გაწევ-გამოწევა და მსაჯიც შეიცვალა. გაიმარჯვა „გუმარმა“ 10 (5) : 6 (3). მისი ლელოები გაიტანეს 9 ნომრებმა — მოდებაძემ და ჯანელიძემ, ნაკრების ორივე საჯარიმო კი „ქორების“ 10 ნომრის — წეველიძის ანგარიშზეა.

## დაკარგა და დაიბრუნა

იტალიის ველოტურ „ჯიროზე“ ორშაბათს გაიმართა მესამე და ბოლო ბერძნული ეტაპი, რომელიც იტალიელმა ჯოვანი ლომბარდიმ მოიგო, სამი ეტაპის ჯამში კი მეორე იტალიელი სტეფანო ძანინი გაუტოლდა მესამეს — სილვიო მარტინელოს და რაკილა ამ ეტაპებზე უკეთესი ადგილები დაიჭირა, ლიდერის ვარდისფერი კვართიც გახადა.

სამშაბათი დასვენების დღე იყო, ოთხშაბათს კი რბოლა სამხრეთ იტალიაში გაგრძელდა. ეტაპი მოიგო კიდევ ერთმა იტალიელმა — მარიო ჩიპოლინიმ, მარტინელო კი ფინიშთან მეორე მიიჭრა და ვარდისფერი კვართი ისევ დაიბრუნა.

## ჩოგბურთი

# პარიზისთვის ხურდებიან

ორშაბათს, პარიზში, „როლან გაროსის“ თიხაზე, წლევანდელი დიდი სლემის მეორე შეჯიბრი — საფრანგეთის ღია პირველობა იწყება.

**პარიზული** განთესვა, უიმბლდონისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს კონკრეტული საფარის მქონე კორტებზე აღნუსხულ შედეგებს და ბრმად მიყვება მსოფლიო კლასიფიკაციას, რის გამოც შარშანდელი ჩემპიონი და თიხაზე თამაშის ოსტატი, ავსტრიელი თომას მუსტერი მეორე ნომრადაა განთესილი, ამერიკელი პიტ სამპრასი კი — პირველად.

ამ კვირაში მუსტერი შინ, სენ-პოლტენის ტურნირში თამაშობს და კარიერის 41-ე ტიტულს უმიზნებს, სამპრასი კი დიუსელდორფშია, სადაც მსოფლიოს გუნდურ თასზე აშშ ჩეხეთის, პოლანდიის, რუსეთის, გერმანიის, ესპანეთის, შვეიცარიისა და შვედეთის მხარდამხარ ასპარეზობს.

მწვრთნელ თიმ გალიქსონის გარდაცვალებას ერთობ დაუდარდიანებია პიტი; ინტერვიუს იმ პირობით იძლევა, რომ განსვენებულზე არას ჰკითხავენ; ვერც სათანადო ფორმაშია: სამშაბათს აკი სამ ხელში წააგო ჩეხ ბოჰდან ულირახთან. მერე ეს თამაში წვიმამ შეაფერხა, ოთხშაბათს კი ჩეხეთმა ბოლოსდაბოლოს 3-0 მოიგო და აშშ-ს დაუმტკიცა, რომ აპრილში, დევისის თასის მეოთხედფინალში შემთხვევით არ მორევია, თუმც კი მაშინ სამპრასს არ უთამაშია.

გერმანიამ შინ ორი თამაშის წაგება მოახერხა — შვეიცარიასთან და ესპანეთთან. ბორის ბეკერი პარიზში მეხუთე ნომრად განთესეს, მაგრამ დიუსელდორფში შვეიცარიელ მარკ როსესთან 6:7, 4:6 რომ წააგო, ბარძაყში რალაც ძალიან ეტკინა. მეორე დღეს გაირკვა, რომ ბორისს ორ ადგილას გაწყვეტოდა კუნთი, რაც იმას მოასწავებს, რომ ბეკერს გაუცდება საფრანგეთის ღია პირველობა, რომელიც არასოდეს მოუგია და რომელშიც გამარჯვების იმედიც თანდათან უქრება, რაკი აქამდე ერთი სათიხნარო ტიტული რაა, ისიც ვერ მოუპოვებია, — და კორტს უკეთეს შემთხვევაში 10 ივნისსლა დაუბრუნდება, ლონდონის „ქვინზ ქლაბში“ უიმბლდონისწინა შეჯიბრი რომ დაიწყება.

**„როლან-გაროსის“** ქალთა შეჯიბრისათვის წილს უყრიან გერმანელ შტეფი გრაფსა და ამერიკელ მონიკა სელეშს და ამგვარად განთესენ პირველ-მეორე ნომრებად. ესენი ხომ საზიაროდ არიან მსოფლიოს პირველი ჩოგნები და ორგანიზატორებსაც სხვა რალა დარჩენიათ.

სელეში 1993 წლის გახმაურებული ინციდენტის შემდეგ ევროპაში პირველად ჩასულა და ამ კვირაში მადრიდში, ესპანეთის ღია პირველობაში მონაწილეობს. გუშინწინ მონიკა ერთობ შეაშინა გერმანელმა ბარბარა შეტმა. სელეში მეორე ხელში ხუთ მატჩ-პოინტს დაუძვრა, ბოლოს კი 3:6, 7:6 (10-8), 6:2 გაიმარჯვა.

**ირაკლი ნიჟუა**

# საატლანტოდ ემზადებიან



[illegible] ბოლო ხანებში მე[illegible]რედ აულეს დოპინგ-ტესტი 400 მეტრზე რბენის მსოფლიო რეკორდსმენს ამერიკელ ბუჩ რენოლდსს, 1990 წელს დოპინგზე რომ ჩავარდა, დასაჯეს, მაგრამ მერე რომ იჩივლა და დიდძალი კომპენსაციის გადახდაც დააკისრებინა საერთაშორისო ფედერაციისათვის (იააფ), რომელმაც ბოლოს თავად გაასაჩივრა განაჩენი და საქმე ჩაფარცხა. რენოლდსის მორიგი შემოწმების გამო იააფ-ის გენერალურ მდივანს, უნგრელ იშტვან დიულაის თავი უმართლებია, ამოჩემება არაფერ შუაშია, ამჯერად რენოლდსის დონის კიდევ ბარემ ოცი მძლეოსანი მოვიკითხეთო.



დერართუ თულუ

**ეთიოპ**ა მძლეოსანთა მთავარმა მწვრთნელმა ვოლდე მესკეტ კოსტირემ იააფ-ს რასისტობა, ფავორიტიზმი და ორპირობა დააბრალა. მიზეზიც საფუძლიანი აქვს: ფედერაციამ ისე შეცვალა ატლანტის ოლიმპიადის განრიგი, რომ ერთმა ამერიკელმა — მაიკლ ჯონსონმა 200 მეტრზეც ირბინოს და 400-ზეც, მეორემ — რვაგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კარლ ლუისმა სპრინტშიც იასპარეზოს და სიგრძეზე ხტომაშიც, ეთიოპი გოგო დერართუ თულუს თხოვნას კი, 5 000 და 10 000 მეტრზე მსურს სირბილი და იქნებ ხელი შემიწყოთო, წაუყრუა. იმავე დიულაის აფრიკელთათვის შეუთვლია, ჩაგვრა არაფერ შუაშია; უბრალოდ, თხოვნა ერთობ დაგვიგვიანეთო.

**შაბათს** აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ალ გორმა დიდი ამბით გახსნა ატლანტის ოლიმპიური სტადიონი, რომლის აშენებაც 209 მილიონი დოლარი კი დაჯდა, მაგრამ ოდენ ოთხ მძლეოსნურ შეჯიბრს — გრან-პრის ამ ეტაპს, ოლიმპიელთა შესარჩევ ტურნირს, თვით ოლიმპიადასა და ხეიბართა ოლიმპიადას უმასპინძლებს, მერე კი „ატლანტა ბრეივზის“ კეტბურთის გუნდის სარბიელად გადაკეთდება.

83-ათასიანი ტრიბუნები სანახევროდ შეივსო, თუმც კი 40 ათასამდე ბილეთი ოლიმპიადის მოხალისე მოსამსახურეთათვის მუქთად დაერიგებინათ. სამაგიეროდ, ვარსკვლავთა ისეთი თავკრებული შეიკრიბა, აშშ-ს ლოს-ანჯელესის 1984 წლის ოლიმპიადის შემდეგ რომ არ ლირსებია.

100 მეტრზე რბენა ამერიკელმა დენის მიჩელმა მოიგო — 9,93 წამი. მას ოდენ ერთი მეასედით ჩამორჩა ზემოთხსენებული ლუისი, ვინაც ბოლო ხუთი სეზონის საუკეთესო დრო გაიხერხა.

200 მეტრზე სეზონის საუკეთესო შედეგი გაიმეორა ჯონსონმა — 19,83. მან ბოლო 50 მეტრზელა ჩამოიტოვა ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი მაიკ მარში და ბილიკთა საფარიც ერთობ შეაქო.

100 მეტრზე ქალთა შეჯიბრი მოიგო მასპინძელმა გვენ თორენსმა (10,85), ალჟირელმა ნურადინ მორსელიმ კი ერთი მილი 3.50,86-ში გაირბინა, რაც აშშ-ში აღნუსხულ შედეგთაგან საუკეთესოა.

**დათო კირცხალია**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29